საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 145 (691) ოთხშაბათი, 7 ივლისი, 1993 წელი ფასი 15 კუპონი

ნუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობენ, რომ 6 ივლისს ღამის პირველ საათზე მოწინააღმდეგემ კვლავ დაბომბა ქალაქი სოხუმი „გრადის" ტიპის დანადგარებიდან. დაბომბვა დაბლოკებით ორი საათი გრძელდებოდა. რამდენიმე ჭურვი მოხვდა ქალაქის ცენტრალურ რაიონს. არის ნგრევა. ჭურვების აფეთქებით დაიღუპა 2, დაიჭრა 6 მშვიდობიანი მოქალაქე.

მდინარე გუმისთაზე განლაგებულ ფრონტის ხაზზე ჩვენი პოზიციები მთლიანად აღდგენილია.

გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს შრომა, კამანი, ახალშენის მიმართულებით.

სავტომობილო მაგისტრალს მთლიანად საქართველოს შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ.

იოსებ გოხეჩია.

• • •

4 ივლისს, სწორედ იმ დღეს, როცა აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმის მასიური დაბომბვა განახორციელეს, აფხაზეთს ეწვივნენ ქ. თბილისის მერიის ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენლები. მათ საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლ ვაჟკაცებს ჩაუტანეს 8 ტონა სურსათ-სანოვაგე — შაქარი, ზეთი, მარგარინი, ფქვილი, ორცხობილა, ჩაი, საპონი, ფუნთუშეული, პური, ყველი, სიგარეტი და სხვა, სულ 10 მილიონი მანეთის საქონელი.

ეს დედაქალაქის ვაჭართა რიგით მეხუთე ჰუმანიტარული დახმარებაა, ასე რიგად რომ სჭირდება დღეს ქართველ მებრძოლებს.

ზურაბ მერკვილაძე.

• • •

თბილისი. 6. (ნ. ცხოი-ე). გუშინ „იბერიას" კორესპონდენტს სახელმწიფოს მეთაურის პრეს-სამსახურში აცნობეს, რომ ქართველმა ჯარებმა წამოიწყეს ბრძოლები ტყვარჩელის მიმართულებით, დაიკავეს სოფლები აკუბედია და ხეთის მონასტერი. მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ეს შეტევა, მტრის პოზიციებიდან უკან დახევა მოუხდათ, ამჟამ. კვლავ გრძელდება ბრძოლები სოფლებთან — ამიშთან და შრომის მისადგომებთან.

• • •

თბილისი. 6. („იბერია"-[illegible]). 6 ივლისს საქართველოს მეთაურის მთავარმა სამხედრო მრჩეველმა პოლკოვნიკმა ვლადიმერ ჩიქოვანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ორშაბათს ამით აფხაზთა სამხედრო ფორმირებებმა სცადეს გამოესხათ საზღვაო დესანტი სოხუმთან ახლოს. საქართველოს შეიარაღებული ძალების სანაპირო დაცვის ქვედანაყოფებმა გახსნეს ცეცხლი და ზღვა დესანტის გადმოსხმას. გემები გაბრუნდნენ ქალაქ ახალი ათონის მიმართულებით.

ვლადიმერ ჩიქოვანმა განაცხადა, რომ გემები შეიარაღებულნი იყვნენ გუდაუთის ზონიდან გამოსულის მხარეს. „ამიერიდან საქართველოს შეიარაღებული ძალები და დაზვერვა იყენებენ უახლოეს ტექნიკას, მათ შორის აპარატს, რომელიც თანამგზავრიდან აფიქსირებს გემებისა და საჰაერო ხომალდების საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრას".



ბრძოლები გუმისთასთან

...**ისინი** გადაღებებიდან ისე ბრუნდებიან, როგორც ფრონტიდან. და საკვირველი აქ არაფერიც არ არის: ისინი საქინფორმის ფოტოკორესპონდენტები, ნამდვილი ფრონტელი რეპორტიორები გახდნენ. ისინიც, ვინც სოხუმში მიფრინავს და თვითმფრინავში როგორღაც ახერხებს ჩაჯდომას, და ისინიც, ვინც აქ ცხოვრობს ბომბებისა და რაკეტების გრიალში.

ამჯერად გაგაცნობთ, მკითხველო, გიორგი ცაგარლის ფრონტულ ფოტორეპორტაჟს:

- ⊙ ბრძოლაში გუმისთასთან;
- ⊙ პოზიციაზე გადის ჯავშანტექნიკა;
- ⊙ მაშველი მოვიდა;
- ⊙ სოხუმში ხანძარს აქრობენ.



ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ საქართველოს ტელევიზიისათვის

6 ივლისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა — საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ ინტერვიუ მისცა საქართველოს ტელევიზიას. შეაფასა რა აფხაზეთში, საომარი მოქმედების ზონაში შექმნილი ვითარება, მან აღნიშნა, რომ იქ მიმდინარე მოვლენები უნდა განვიხილოთ ერთიანი კონტექსტით. ეს არის მოწინააღმდეგის კარგად შეიარაღებული და მრავალრიცხოვანი დესანტის — რამდენიმე ასეული კაცის — გადმოსხმა. შეუერთდნენ რა იქ მყოფ ძალებს, მათ შექმნეს საკმაოდ დიდი და მძლავრი დაჯგუფება. სახელმწიფოს მეთაურმა, შექმნილი ვითარების გაანალიზებისას, გამოიტანა დასკვნა, რომ ამ მოქმედებას უნდა მოჰყოლოდა სეპარატისტთა ძალების გააქტიურება სხვა მიმართულებებით, ქალაქ სოხუმის შტურმი და მისი აღება. მაგრამ, ჩვენი ჯარისკაცების, ოფიცრების, გენერლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოახერხეს გარღვევის ოპერატიულად ლოკალიზება.

ედუარდ შევარდნაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სოხუმელთა სიმტკიცესა და ვაჟკაცობას, რომლებიც, მთელი სირთულეებისა და საფრთხის მიუხედავად, არ ტოვებენ მშობლიურ ქალაქს.

შეეხო რა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრეი კოზირევის საკვირაო გამოსვლას ტელევიზიით, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ როგორც იგი ფიქრობს, რუსეთის მინისტრმა ილაპარაკა იმაზე, რაც დაფიქსირებული იყო 3 სექტემბრის ხელშეკრულებებში.

— მე ვაცხადებდი და ახლაც ვაცხადებ, რომ მივესალმები ასეთ მიდგომას: ჩვენ ყოველთვის გვსურდა მშვიდობა, აფხაზებთან არაფერი არ გვაქვს გასაყოფი და საომარი. ყოველთვის ვუჭერდით მხარს აფხაზეთის ავტონომიის სტატუსს და ეს არასდროს არ ყოფილა სადავო არც თბილისში, არც აფხაზეთში, არც სხვა რეგიონებში. და ის, რომ ბატონმა კოზირევმა გააფრთხილა ორივე მხარე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაცვის თაობაზე, ჩვენ ხაზსხით გვაძლევს ხელს, რადგან ყოველთვის ვუჭერდით მხარს ომისა და სისხლისღვრის შეწყვეტას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩვენ ვერ მოვახერხეთ. ბატონი კოზირევის ეს სიტყვები ეხება იმ მხარეს, რომელიც არღვევს მიღწეულ მორიგებებს, არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად. არ ვაპირებ გავაზვიადო კოზირევის განცხადების მნიშვნელობა და დიდი იმედები დავამყარო მის შედეგებზე, რადგან; თვით პრეზიდენტ ელცინის მიერ ხელმოწერილი უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტებიც კი პრაქტიკულად გაუფასურებულია. მაგრამ ახლა, როცა საქმეში აქტიურად ჩაება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ვფიქრობ, რომ ამ განცხადებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

სამშაბათს გაიმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც მოისმენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის მოხსენებას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე და, კერძოდ, აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ. მე გავეცანი ამ მოხსენების შინაარსს და უნდა აღვნიშნო, რომ გაეროს გენერალური მდივნის წინადადებები და შეხედულებები ემთხვევა ჩვენსას. ძნელია ითქვას, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, მაგრამ ვფიქრობ, რომ, სულ ცოტა, მეთვალყურეებს მაინც გამოგზავნიან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალურ მდივანს აქვთ ეჭვი, რომ გუდაუთის ხელმძღვანელობა არ დაეთანხმება ასეთი ინსტიტუტის ფუნქციონირებას. მაგრამ მე მათ ავუხსენი, რომ საქართველო და მისი ხელისუფლება ყველა პირობას შექმნის მეთვალყურეთა ნორმალური მუშაობისათვის.

შეეხო რა მთიელ ხალხთა კონფედერაციის განცხადებას ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში შესაძლო ჩარევის შესახებ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დაუშვა ასეთი შესაძლებლობა. თუმცა, თქვა მან, ეს შეიძლება არ მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უფრო გარკვეულ და სამართლიან პოზიციას დაიკავებს. კავკასიის მთიელ ხალხთა მრავალი წარმომადგენელი, ისევე როგორც რუსეთის მოქალაქეები, აქტიურად იბრძვიან სეპარატისტთა მხარეზე. ზემოხსენებული დესანტის 40-45 პროცენტს რუსეთის მოქალაქეები შეადგენენ. გარეშე ძალების მიერ აფხაზთა მხარის დახმარებას მოწმობს აგრეთვე იარაღის, ტყვიაწამლის მიწოდება, ფინანსური მხარდაჭერა და სხვა. საიდუმლო არ არის, თუ საიდან და რა წყაროებით ჩამოდის ყოველივე ეს. თანაც, რუსეთის ხელმძღვანელობასაც, რა თქმა უნდა, არ ძალუძს მთლიანად აღკვეთოს ასეთი ქმედობა. მაგრამ რუსეთზე, მისი პოზიციის ობიექტურობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. და ამ კონტექსტით კოზირევის უკანასკნელი გამოსვლა, პასტუხოვთან შეხვედრები იმედს გვინერგავს.

სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამ დღეებში მთელი საქართველო გაერთიანდა სეპარატისტებისა და მათი დაქირავებული დამქაშების წინააღმდეგ სამშობლოს სუვერენიტეტისა და საზღვრების ურღვევობისათვის ბრძოლაში. ქვეყნის ყველა რეგიონი ძალზე აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ სამართლიან საქმეში. მან განსაკუთრებით აღნიშნა ოჩამჩირის მისადგომებთან მოწინააღმდეგის დესანტის განადგურებაში ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით მოქმედი სამხედრო შენაერთების, სამეგრელოდან ჩამოსული ლოთი ქობალიას მოხალისეთა რაზმების როლი, ბრძოლებში თენგიზ კიტოვანის აქტიური მონაწილეობა.

ამრიგად, თქვა დასასრულს ბატონმა შევარდნაძემ, დაიწყო ერის, ქვეყნის მთელი ძალების კონსოლიდაციის შეუქცევადი პროცესი. ეს ჩვენი გამარჯვების საწინდარია.

„კონტაქტი" გვატყობინებს

გუდაუთაში აფხაზები ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვენ

საინფორმაციო-სააგენტო „კონტაქტის" ცნობით, გუდაუთის ზონაში კვლავ გრძელდება ცოცხალი ძალის კონცენტრაცია. მოსალოდნელია გარკვეული ნაწილის გადასროლა საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტროლის ზონაში. არძინბას მოსკოველი მრჩევლები და თანამოაზრეები არწმუნებენ აფხაზთა ლიდერს, რომ საჭიროა მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა დღეს, ან ხვალ აიღონ სოხუმი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გეგმები საბოლოოდაა განწირული და რაიმე სამომავლო წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

გუდაუთაში შეიკრიბა აფხაზი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მათ შორის დიდი რაოდენობით იყვნენ აფხაზი მეომრები. შეკრებილებმა მოითხოვეს საომარი მოქმედებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტა. სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება ქართულ მხარესთან და ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ფაზილ ისკანდერი, მან მოუწოდა თანამემამულეებს არ დაუჭირონ მხარი არძინბას დამღუპველ პოლიტიკას და შეწყვიტონ ძმათამკვლელი ომი. შეუმოწმებელი მონაცემებით აფხაზთა შემადგენლობაში ადგილი ჰქონდა შეიარაღებული დაპირისპირების ფაქტს.

• • •

საინფორმაციო-სააგენტო „კონტაქტის" ცნობით, ამ დღეებში აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების დროს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილების რადიოკავშირის ტექნიკური საშუალებები წინასწარი განზრახვით ახშობენ რადიო ტალღების იმ სიხშირეებს, რომლებითაც მუშაობენ საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბები.

ჩაი-93

კრეფა უნდა დავაჩქაროთ

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია 300 ათასი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა და გადამუშავება. ფაქტობრივად, 5 ივლისის მდგომარეობით, მოკრეფილი და გადამუშავებულია მხოლოდ 45644 ტონა ჩაის ფოთოლი, წლიური პროგნოზის 15,3 პროცენტი. ეს მაჩვენებელი 34647 ტონით ჩამორჩება 1992 წლის შესაბამის მაჩვენებელს, შარშან კი დარგისათვის მეტად არახელსაყრელი პირობების გამო მოიკრიფა მხოლოდ 205 ათასი ტონა.

ჩაის ფოთლის კრეფის საკმაოდ მაღალი ტემპი აქვს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, რაც ძირითადად სტაბილური მდგომარეობით და საწვავით შედარებით უკეთესი მომარაგებით არის განპირობებული, რომლებშიც დამაკმაყოფილებელია ჩაის ფოთლის კრეფა ლანჩხუთის, სამტრედიის, თერჯოლის, ჩოხატაურის რაიონებში, ქ. ქუთაისისა და ტყიბულის ზონებში.

ნედლეულის საკმაო რესურსების არსებობის მიუხედავად, უაღრესად რთულ ვითარებაში და ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა და გადამუშავება გალის, ოჩამჩირის, ზუგდიდის, წალენჯიხის, მარტვილის, ჩხოროწყუს რაიონებში. კრეფის მეტად დაბალი ტემპი აქვთ და შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს 1,2 ათასი ტონით ჩამორჩება ხონის რაიონი, 10,3 ათასი ტონით ოზურგეთის, 1,4 ათასი ტონით — ქობულეთის, 0,6 ათასი ტონით — ხობის რაიონი, ხოლო 1,9 ათასი ტონით — ქ. წყალტუბოს ზონა.

ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების შემაფერხებელ მრავალ პრობლემას შორის უწინარესად უნდა აღვნიშნოთ საწვავ-საპოხი მასალების მწვავე დეფიციტი. ბენზინისა და დიზელის საწვავის უქონლობის გამო გაჩერებულია ჩაის საკრეფი ტექნიკა, ფერხდება დამზადებული ნედლეულის ტრანსპორტირება, უმაზუთობის გამო გაჩერებულია მრავალი ჩაის ფაბრიკა. მეჩაიეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს შრომის ანაზღაურებისა და კერძო სექტორში დამზადებული ნედლეულის ღირებულების გადახდისთვის საჭირო ფულის ნიშნების უკმარისობა. ძირითადად ამ მიზეზებითაა განპირობებული შრომის ორგანიზაციის და ფოთლის კრეფის ტემპის გაძლიერების სირთულეები. აზოტოვანი სასუქების დეფიციტის გამო პირველი დონით არ არის გამოკვებილი [illegible] ჩაის პლანტაციების 58 პროცენტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოუწესრიგებელია ფოთლის დამზადებისა და პროდუქციის გადამუშავების აღრიცხვა.

პირველი ვეგეტაციის ფოთოლი ჯერ სანახევროდაც არაა გადაკრეფილი, ამჟამად, ბუჩქზე არსებული ნედლეულის რესურსი 70-80 ათასი ტონაა, კრეფის დაყოვნებით კი უხეშდება და იკარგება მოსავალი, ხელი ეშლება შემდეგ ვეგეტაციას.

უახლოეს პერიოდში, კერძოდ, ივლის-აგვისტოში 180 ათასი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავებისათვის აუცილებელია მეჩაიეობის რაიონებს მიეწოდოს 3 ათასი ტონა ბენზინი, 6 ათასი ტონა დიზელის საწვავი, 45 ათასი ტონა მაზუთი და ლუმენის საწვავი, 14 მილიარდი მანეთი (კუპონი), ამავე დროს საჭიროა. 20 ივლისამდე 40 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქის მიწოდება.

დარგის ნორმალური მუშაობისა და ჩაის პროდუქციის სახელმწიფო რესურსების შექმნის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა სასწრაფოდ გადაწყვიტონ ზემოაღნიშნული საკითხები.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ნომერში

- ⊙ მაფია, უსინდისობა თუ სიმდიდრის ცდუნება? 3
- ⊙ ზურგში ჩაცემული დანა. 4

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ

აფხაზეთის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის საფრთხის თავიდან აცილებისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით:

1. გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე 1993 წლის 6 ივლისის 22 საათიდან ორი თვის ვადით.
2. ბრძანებულება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

ე. შევარდნაძე.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ამას წინათ, როცა თქვენ პატივი მიაგეთ ბატონ თურგუთ ოზალის ხსოვნას და მონაწილეობა მიიღეთ მისი დაკრძალვის ცერემონიალში.

მას შემდეგ პოლიტიკური ვითარების განვითარების შესაბამისად რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ბატონი სულეიმან დემირელი, ხოლო მის ნაცვლად თურქეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა ჩვენი ჭეშმარიტი გზის პარტიის გენერალურმა თავმჯდომარემ ქალბატონმა ტანსუ ჩილერმა.

თქვენს მიერ ბატონი პრეზიდენტისა და ქალბატონი პრემიერის სახელზე გამოგზავნილი მილოცვები მადლიერებითა და განსაკუთრებული კმაყოფილებით იქნა მიღებული.

დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ იმ ყურადღებისა და თანადგომის გამო, საქართველოსა და თურქეთს შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის რომ იჩენთ.

ბედნიერი ვარ, რომ მე, როგორც მინისტრს, პირველი მეწვია და დიდი პატივი დამდო საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელსაც პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბატონი ავთანდილ მარგიანი ხელმძღვანელობდა.

მე ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს მეგობრობა და ძმობა საქართველოსა და თურქეთს შორის, მუდამ ვიქნები ამ მეგობრობისა და ძმობის ხაიმედო ხიდი.

საქართველოს სახელმწიფოს, მის კეთილშობილ, შესანიშნავ და მამაც ხალხს მთელი სულითა და გულით ვუსურვებ დიდ ბედნიერებას.

სიყვარულითა და პატივისცემით

რეფაიდინ შაჰინი (ლორთქიფანიძე),
თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ანკარა,
1993 წლის 30 ივნისი.

რუსეთის ფედერაციის მთავრობის ვიცე-პრემიერს ბატონ ს. შახრაის რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ა. კოზირევს რუსეთის ფედერაციის უშიშროების მინისტრს ბატონ ვ. ბარანიკოვს რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს ბატონ ვ. სტეპანკოვს

ამა წლის 3 ივლისს გამოქვეყნდა ეგრეთ წოდებული კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ჯარების სარდლის ბრძანება, რომელთა ნაწილები, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევით, უკვე ხანგრძლივი დროის მანძილზე დისლოცირებული არიან საქართველოს ტერიტორიაზე, ქალაქ გუდაუთაში. ამ ბრძანების თანახმად გამოცხადებულია რეზერვისტთა საყოველთაო მობილიზაცია რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მათი საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტში გამოყენების მიზნით.

იძულებული ვარ, კვლავ მივაპყრო თქვენი ყურადღება იმას, რომ კონფედერატთა ამგვარი მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა უხეში ჩარევა სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, უფრო მეტიც — აშკარა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

ამ შეიარაღებულ ფორმირებათა საქმიანობის შედეგად ყოველდღე იღუპებიან ადამიანები, ცარიელდება დასახლებული პუნქტები, არსებითად პირისაგან მიწისა აღიგავა სოფლები, ნაჩანაგებულია უნიკალური ქალაქი სოხუმი, გრძელდება საომარი მოქმედების ესკალაცია აფხაზეთში.

მოგიწოდებთ, ყოველი ღონე იხმაროთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ორგანიზაციის, რუსეთის მოქალაქეთა უკანონო შეჭრის, კონფლიქტის ზონაში სამხედრო ტექნიკის შეტანის აღკვეთისათვის, რადგან კავკასიის საყოველთაო ომი რეალობა ხდება.

იმედი მაქვს, რუსეთის ხელმძღვანელობით ბოლო მოეღება დამანგრეველ მოქმედებას, რასაც მოსდევს ადამიანთა უაზრო მსხვერპლი.

პატივისცემით,

ა. კავსაძე,
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ადამიანის უფლებებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე.

ხმა ვაშინგტონიდან

საქართველოს რადიოს პიკის საათის კორესპონდენტთან საუბარში, საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა ამერიკაში ბატონმა პეტრე ჩხეიძემ აღნიშნა: გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღეს ბატონ ედუარდ შევარდნაძის წერილი, რომელიც დიდი ყურადღებით იქნა შესწავლილი, იმავე დღეს გავიტანეთ უშიშროების საბჭოზე იყო მსჯელობა ამ საკითხზე. ამავე დღეს გაკეთდა გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება აფხაზეთის საკითხებზე. მთლიანობაში ეს დოკუმენტი ძალიან ობიექტური და სასარგებლოა. გენერალურ მდივანს აქვს სურვილი, რომ სასწრაფოდ გადაწყდეს საკითხი 50 მეთვალყურის საქართველოში და აფხაზეთის ზონაში გამოგზავნის შესახებ.. ამ საკითხთან დაკავშირებით არძინბას ჯგუფს საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს, მათ არ უნდათ, რომ ტერიტორიაზე, რომელსაც თვითონ აკონტროლებენ, დღეს განალაგონ გაეროს მეთვალყურენი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გაეროს წრეებში იწვევს უარყოფით რეაქციას. გუშინწინ გაეროს გენერალურმა მდივანმა მიმართა ყველას, ვისაც შეუძლია ზეგავლენა იქონიოს აფხაზეთის სეპარატისტულ ჯგუფზე, რომ შეწყვიტონ ცეცხლი, საერთოდ გაეროში არის დადებითი განწყობილება საქართველოს მიმართ, მაგრამ ყველა პროცედურა არის დაკავშირებული თავის წესთან, ამიტომ, საკითხები უცებ არ წყდება. ჩვენ გუშინწინ გვქონდა შეხვედრები ინგლისის წარმომადგენლობის თანამშრომლებთან, მათ შორის, ინგლისის წარმომადგენელთან გაეროში, რომელიც ამ თვეში თავმჯდომარეობს უშიშროების საბჭოს. ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხებზე, ამჟამად საკითხი გადადებულია 6 ივლისისათვის, როდესაც შესდგება უშიშროების საბჭო, განხილვაში რა თქმა უნდა, მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას. მეც გამოვალ სიტყვით.

გენერალური მდივნის წერილში დაყენებული მოთხოვნაა, რომ მიიღონ თანხმობა 50 მეთვალყურის გამოგზავნის შესახებ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ძალიან დაინტერესებული ვართ, რომ ამ საკითხზე რეზოლუცია იქნას მიღებული, ამისათვის ვმუშაობთ.

იბეჭდება პარლამენტის სპიკერის მოადგილის ვახტანგ რჩეულიშვილის რეკომენდაციით.

ფრაქცია „ეროვნული დემოკრატი" გვთავაზობს

საქართველოს პარლამენტის ივნისის ერთ-ერთ სხდომაზე დეპუტატ ვანო ხუხუნაიშვილის მოხსენება

საქართველო მწვავე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისშია, ძნელია დავასახელოთ სფერო, სადაც ვითარებას მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი შეიძლება ეწოდოს. ქვეყანაში მიმდინარე ომი არსებულ პრობლემებს განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩენს. თვალსაჩინოა როგორც სამთავრობო, ასევე საპარლამენტო კრიზისი, მიზეზები უამრავია, წარმოდგენილ მოხსენებაში ჩვენ მხოლოდ ძირითად მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, ვისაუბრებთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, საფუძველთა საფუძვლებზე.

• • •

პარლამენტი, როგორც პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი რგოლი, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. სამწუხაროდ, ჩვენ ჯეროვნად არ ვუფრთხილდებით მის პრესტიჟს, იგი ბედის ანაბარად მივატოვეთ, ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ დღემდე არ მომხდარა პარლამენტის მიერ გაწეული მუშაობის ანალიზი.

სანამ პარლამენტში არსებულ უმთავრეს პრობლემებს შევეხებით, აღვნიშნავთ, რაოდენ უხერხულიც უნდა იყოს ამ თემაზე საუბარი, არაორგანიზებულობას — დასწრების პრობლემას, ეთიკის ნორმების სისტემატურ დარღვევას. ჩვენი აზრით, ეს პრობლემები, უპასუხისმგებლობის ცალკეულ გამოვლინებებთან ერთად, გამოწვეულია ელემენტარული სამუშაო პირობების არქონით, რეგლამენტის დაუხვეწაობით, საინფორმაციო სამსახურის გაუმართავი მუშაობით — ინფორმაციის დეფიციტით. აღნიშნულის გამო პარლამენტის წევრები სრულფასოვნად ვერ მონაწილეობენ საკანონმდებლო საქმიანობაში და ვერავითარ მიზანს ვერ ხედავენ შეასრულონ სტატისტის როლი.

პარლამენტის სერიოზული პრობლემა და ნაკლია ის, რომ იგი თითქმის ვერ ასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას — ვერ ახერხებს რეფორმის, და საერთოდ, სახელმწიფოებრივი მშენებლობის სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფას, რაც, თავის მხრივ, ქმნის დესტრუქციულ ფონს პოლიტიკური არასტაბილურობისა და საომარი მოქმედებების პირობებში.

პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა ძირეულად გარდასაქმნელია. ის, რომ პარლამენტი გადატვირთვით მუშაობს, სულ არ ნიშნავს მის ეფექტურობას, უფრო პირიქით — ჩვენი გადატვირთულობა პარლამენტის შრომის დაბალი ორგანიზაციის შედეგია.

აუცილებლობა მოითხოვს თვითკრიტიკულად შევაფასოთ ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობა:

დაბალი შრომის ნაყოფიერების ერთი პირველი და ძირითადი მიზეზია იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით არასრულყოფილი „დროებითი რეგლამენტი". ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, სახალხო ფრონტისა და პარლამენტის იურიდიული კომისიები ამუშავებენ და უახლოეს ხანებში თქვენს განსახილველად შემოიტანენ ახალ რეგლამენტს. ვიმედოვნებთ, რომ განვლილი მუშაობის გამოცდილების საფუძველზე ყოველმხრივ დახვეწილი „მუდმივი რეგლამენტი" დიდ დახმარებას გაუწევს პარლამენტს შრომის ნაყოფიერების ხარისხის გაზრდაში.

მეორე და უმნიშვნელოვანესი მიზეზი მუშაობის ნაკლოვანებებისა ის არის, რომ პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობას გეგმიანი ხასიათი არ აქვს, არადა, ახლა, როცა ახალ სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ, განსაკუთრებული ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ კანონშემოქმედებითი პროცესის გეგმიური წარმართვისათვის უნდა მიგვექცია.

მოგახსენებთ ჩვენს მოსაზრებას პარლამენტის საქმიანობის დაგეგმვის მექანიზმთან დაკავშირებით:

ყველა კომისიამ უნდა ჩამოაყალიბოს შესამუშავებელი კანონპროექტების ნუსხა. მინისტრთა კაბინეტმა, თავის მხრივ, წარმოადგინოს მთავრობის საკანონმდებლო წინადადებების ჩამონათვალი, მისი მუშაობის ინტერესებიდან გამომდინარე რიგითობის გათვალისწინებით. სპიკერის აპარატმა პრიორიტეტებისა და შესამუშავებელი საკანონმდებლო პაკეტის თანამიმდევრობის განსაზღვრით, მთავრობასთან ერთობლივი განხილვის შემდეგ, მათი კოორდინირებული ვარიანტი უნდა წარმოადგინოს კოლეგიის სამსჯავროზე, რომელიც ამ ვარიანტს დაამტკიცებს, როგორც პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროგრამას მოწვევის მთელი პერიოდისათვის, იგივე უნდა დაედოს საფუძვლად სესიების სამუშაო გეგმებს, ასეთმა მიდგომამ ერთგვარად უნდა მოაწესრიგოს პარლამენტის სხდომების დღის წესრიგის ფორმირების საკითხიც.

უნდა დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს პარლამენტის კოლეგიის დებულება, რათა ეს რგოლი იქცეს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა პოზიციების წინასწარი შეჯერების, კომისიათა მუშაობის კოორდინირების ამაღლების და კონსტრუქციული კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის ორგანიზაციული ხელშეწყობის ქმედით მექანიზმად.

მხოლოდ აღნიშნული და ბევრი სხვა ორგანიზაციული საკითხის მოგვარების გზით პარლამენტში შეიძლება შევქმნათ ნორმალური, თანამიმდევრული კანონშემოქმედებითი რიტმი და დავამკვიდროთ სრულფასოვანი საქმიანობის ატმოსფერო.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრულყოფისთვის აუცილებელია საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და ცნებების საპარლამენტო საქმიანობაში დანერგვა, აპრობირებული მექანიზმების მაქსიმალურად ჩართვა, ნონსენსია, რომ ჩვენში ჯერაც არ ჩამოყალიბებულა უმრავლესობა და უმცირესობა, ამ ცნებებში ნაგულისხმევი შინაარსის კლასიკური, პოლიტიკური გაგებით. დღევანდელი მთავრობის კურსის მხარდამჭერი და მისდამი ოპოზიციურად განწყობილი ძალების დახასიათება უმრავლესობად და უმცირესობად წმინდა პირობით ხასიათს ატარებს, ზღვარი ამ ორ სუბიექტს შორის დაუდგენელია, აქედან გამომდინარე, ბალანსი არასტაბილურია, ძალზედ ალბათურია, ხელოვნურია. აქ გადამწყვეტ როლს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის ინერტულობა ასრულებს. ამ მიმართულებით ბატონ ედუარდ შევარდნაძის საქმიანობა სასურველს მნიშვნელოვნად შორდება. პარლამენტის თავმჯდომარე, არათუ ვერ ახერხებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებას და ამ პროცესში ლიდერ-ორგანიზატორის როლის შესრულებას, იგი ინერტულობას იჩენს ოფიციალური კურსის მხარდამჭერი საპარლამენტო ფრაქციების კოორდინირების საქმეშიც. ამის გამო ეს ფრაქციები (თუნდაც ინტერფრაქციული ბლოკის სახით) არაორგანიზებულ სიმრავლეს წარმოადგენენ. აქვე ძალიან მტკივნეულად ჩნდება პასუხისმგებლობის მომენტი, უმრავლესობის ფაქტობრივი ჩამოუყალიბებლობა საპარლამენტო ცხოვრებაში ქმნის პასუხისმგებლობის დეფიციტს.

პასუხისმგებლობითა და შესაძლებლობებით, მოვალეობებითა და უფლებებით აღჭურვილი უმრავლესობის ჩამოყალიბების აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ იგი უნდა გახდეს გარანტი მთავრობის დაკომპლექტების ჯანსაღი პრინციპის დამკვიდრებისა — თანამოაზრეთა ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია:

1. დაიწყოს კონსულტაციები შიდასაპარლამენტო კონსტრუქციული უმრავლესობის ფორმირებისთვის, აღნიშნულ პროცესს უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა უხელმძღვანელოს.
2. დაიწყოს კონსულტაციები საპარლამენტო ოპოზიციასთან — ამ უკანასკნელისთვის სათანადო გარანტიების მიცემით (რეგლამენტის მეშვეობით), რაც, იმედია, მნიშვნელოვნად შეანელებს არსებულ და მოსალოდნელ კონფრონტაციას.
3. უმრავლესობამ უნდა წარმოადგინოს პარლამენტის მუშაობის გრძელვადიანი პროგრამის პროექტი — სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საფუძვლებით, რაც უფრო გააზრებულს, გეგმაზომიერსა და ეფექტიანს გახდის კოლეგიის, კომისიების და მთლიანად პარლამენტის საკანონმდებლო-რეფორმატორულ მოღვაწეობას.

თუკი სახელმწიფოს მეთაური უმრავლესობის ფორმირების საქმეში არ გადადგამს შემხვედრ ნაბიჯებს, არ გააქტიურებს თანამშრომლობას, საუბარი რაიმე საპარლამენტო უმრავლესობაზე აზრს კარგავს და ჩვენ თავს შევიკავებთ მასში მონაწილეობისაგან. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიმოქმედებთ ფრაქციის შესაძლებლად, როგორც რიცხოვნობით, ასევე პოლიტიკურად, და შევეცდებით მაქსიმალურად გავატაროთ ჩვენი დამოუკიდებელი პოლიტიკა.

• • •

ჩვენ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის აუცილებლობა მთავრობის, მინისტრთა კაბინეტის ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებითაც არის განპირობებული. ასეთი პრინციპით ჩამოყალიბებული მთავრობა პასუხისმგებელი იქნება თავის მიერ გატარებულ კურსზე. ამოქმედდება ურთიერთპასუხისმგებლობის მექანიზმი: ამომრჩეველი — პარლამენტი — საპარლამენტო უმრავლესობა — მთავრობა. დღეს კი ჩვენ ხელთ გვაქვს ჭრელი პოლიტიკური სპექტრის მქონე და ხელოვნურად დაბალანსებული ძალებისაგან შემდგარი პარლამენტის პირმშო — აღმასრულებელი ხელისუფლება, პირობითად, მინისტრთა კაბინეტი, რომელიც მოძველებულ სტრუქტურებზეა დაფუძნებული.

თავიდანვე აღვნიშნავდი, რომ ჩვენთვის მიუღებელია პოლიტიკურ ძალთა გაწონასწორების მიზნით ოპოზიციურად განწყობილი პარტიებისა და ფრაქციებისათვის მინისტრის პორტფელებისა და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობების შეთავაზების ხშირი პრაქტიკა, რაც თავი რომ დავანებოთ საღ აზრს, არაბუნებრივი, არანორმალური და პოლიტიკური სამყაროსათვის უპრეცენდენტოა. ეს პრაქტიკა ათამამებს ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალებს, შლის ზღვარს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, არ იძლევა ერთიანი პოლიტიკური კურსის შექმნისა და გატარების საშუალებას; ასეთი მიდგომის შედეგად წინ არიან წამოწეულნი პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მოკლებული დარგობრივი სპეციალისტები. მკვიდრდება და ვითარდება აზრი, რომ თითქოს მინისტრთა კაბინეტი და სამინისტროები სხვა არაფერია, თუ არა სამეურნეო ინსტიტუტები. ჩვენ უნდა ავუდგეთ წინ წარსულიდან მომდინარე ამ მახინჯ მიდგომას და ზემოთ აღნიშნული. სუბიექტები საზოგადოების ცნობიერებაში უნდა დავამკვიდროთ როგორც, უპირველესად, პოლიტიკური ინსტიტუტები და თითოეულ მათგანს პროფესიონალი პოლიტიკოსი ჩაუყენოთ სათავეში. ეს გაზრდის ხელმძღვანელთა პირად პასუხისმგებლობას და ხელს შეუწყობს ჩამოყალიბდეს მთავრობაში პარლამენტის წინაშე ერთიანი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დამოკიდებულება, ამგვარი პასუხისმგებლობის გარეშე შეუძლებელია მომავალშიც პარლამენტსა და მთავრობას შორის ჯანსაღი თანამშრომლობის განვითარება.

ბუნებრივია, რომ, როდესაც არ არსებობს თანამოაზრეთაგან შედგენილი და პასუხისმგებლობით აღჭურვილი ერთიანი გუნდი, შეუძლებელია ერთიანი სამოქმედო პროგრამის შექმნა და რეალიზება, მართალია, არსებობს ასეთი დანიშნულების დოკუმენტი, მაგრამ იგი ორი მიზეზის გამო ვერ ასრულებს თავის მისიას. ჯერ ერთი, მის მიმართ არსებობს სერიოზული შენიშვნები და მეორეც, იგი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არ არის გააზრებული როგორც მოქმედებისათვის აუცილებელი, სავალდებულო დებულება და ბუნებრივია, არ ხორციელდება. დოკუმენტს ეწოდება: „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა".

თავს უფლებას მივცემთ ამ დოკუმენტთან დაკავშირებით ჩვენ შენიშვნებთან ერთად შემოგთავაზოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ზოგიერთი დასკვნა („საქართველოს რესპუბლიკა" 15. 05. 93 წ): მისიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის პოზიცია, დოკუმენტის მიხედვით, ექსპანსიური, საფინანსო პოლიტიკის მიმართ არ არის ქმედითი და ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია ხელმისაწვდომ დონემდე ხარჯების შემცირება (ისინი არ დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ „მინიმალური მოთხოვნების დონეზე" ხარჯები არ შეიძლება შემცირდეს). მათ უარყოფითად შეაფასეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, აღნიშნეს, რომ ეროვნული ბანკი არ უნდა ეცადოს ზეგავლენა მოახდინოს რესურსების განაწილებაზე მაკროეკონომიკურ დონეზე. მოითხოვეს უფრო რადიკალური სტრუქტურული რეფორმები, ეკონომიკური პროცესების მართვაში სახელმწიფოს როლის მკვეთრი შემცირება, საჭირო ღონისძიებების და მათი შესრულების ვადების დაკონკრეტება, პრივატიზების დაჩქარება.

ეკონომიკური ურთიერთობების მაკროეკონომიკური რეგულირების პარალელურად უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მიკროეკონომიკური პროცესების განვითარებას. ყოველგვარი მაკროეკონომიკური მეთოდი შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს მხოლოდ მაშინ, თუ გამოცოცხლებულია და ეფექტიანად მუშაობს მიკროეკონომიკა, საბაზრო ურთიერთობა, რომლისკენაც ამჟამად საქართველო მიისწრაფვის, ყალიბდება, პირველ ყოვლისა, მიკროეკონომიკურ დონეზე, იქ არსებული მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ინტენსიური გამოყენების საფუძველზე. ამიტომ მაკროეკონომიკურ დონეზე რეგულირების მთელი აზრი და დანიშნულება მიკროეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების პირობების შექმნას უნდა ემსახურებოდეს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამის მთავარ ნაკლად ნაკლებკორექტულობა და მისი მიკროეკონომიკური რეგულირების პრობლემებიდან მოწყვეტა უნდა ჩაითვალოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს დოკუმენტი სრულყოფილიც რომ ყოფილიყო, მისდამი მინისტრთა კაბინეტის დამოკიდებულება, სიტყვასა და საქმეს შორის არსებული შეუსაბამობები, გადაულახავ წინააღმდეგობებად არის აღმართული მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. ხშირია, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ღებულობს მართლაცდა ამ პროგრამის შესაბამის დადგენილებებს (მაგ. სახელმწიფო საჭიროებისთვის დაკვეთების, ინდივიდუალური დაგეგმვის და სხვა), მაგრამ მათ არ (ან ვერ) ახორციელებს. არის საპირისპირო ხასიათის შემთხვევებიც. განსაკუთრებით ეს საგრძნობია საბანკო-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებაში. თითქმის არც ერთი საპროგრამო მოთხოვნა ამ მიმართულებით საქართველოში არ ხორციელდება. ეს კი თავიდანვე გამორიცხავს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შესაძლებლობებს.

სტრატეგიული თვალსაზრისით საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება უახლოეს პერიოდში ეკონომიკის სტაბილიზაცია, კრიზისის დაძლევის ღონისძიებათა განხორციელება, ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი შემცირება ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება უნდა იყოს. პირველ ყოვლისა, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ბიუჯეტის კონცეფცია და განახორციელოს ღონისძიებათა სისტემა რეალური ბიუჯეტის შედგენის მიმართულებით. უნდა განისაზღვროს უდავოდ საერთო გარდაუვალი ხარჯები და რეალურად მოსალოდნელი შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილე მოითხოვს კომპრომისს, ბიუჯეტის ხარჯვა მთავრობის მიერ ყოველთვის აღემატება მისთვის გამოყოფილ ლიმიტს. ამის საშუალებას მთავრობას ბიუჯეტის ძალზე მსხვილი მუხლები აძლევს. რას ემყარება ამ დროს ფინანსთა სამინისტრო? ალბათ იმას, რომ მისთვის სასურველია მსხვილი, ზოგადი და ნაკლებკონკრეტიზებული მუხლების არსებობით შეასრულოს „ქურდული ქისის" როლი სახსრების გადანაწილების დროს. შეუძლებელია ეკონომიკური საქმიანობის შეფასება იმ ბიუჯეტის პირობებში, რომელიც ჩვენ გვქონდა და როგორის წარმოდგენასაც აპირებს მომავალში ფინანსთა სამინისტრო (დეფიციტი 80 პროცენტზე მეტი, შიგა ერთობლივი პროდუქტი ნაკლებია ვიდრე ბიუჯეტი). დღევანდელ ვითარებაში (2 კვარტალის დასასრულს) კი საქართველოს ეკონომიკის დაფინანსება ბიუჯეტის არარსებობის გამო, ფაქტობრივად, უკანონოა. ჩვენი (პარლამენტის) ვალია მკაცრი კონტროლი დავუწესოთ საბიუჯეტო პოლიტიკას; განვსაზღვროთ ბიუჯეტის დეფიციტის დასაშვები ზღვარი, ავკრძალოთ ბიუჯეტის დასაფარავად ეროვნული ბანკის მიერ (გრძელვადიანი ერთპროცენტიანი სესხის ხარჯზე), ან მივიღოთ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში სპეციალური დამატება, რომლის მიხედვითაც ბანკის სესხი შეიძლება გამოვიყენოთ განსაზღვრულ დონემდე — ვთქვათ, ბიუჯეტის დეფიციტის 10-15 პროცენტამდე, ან კომერციულ საწყისებზე რეალური საბაზრო პროცენტი, დასაფინანსებლად (თუკი მთავრობა ვერ წარმოადგენს ბიუჯეტს ამ ნორმების გათვალისწინებით და მას პარლამენტი არ მიიღებს, მაშინ — მას ავტომატურად გამოეცხადოს უნდობლობა).

ბიუჯეტის საკითხს კიდევ უფრო ამძაფრებს უცხოელ ექსპერტთა დასკვნები იმის შესახებ, რომ ასეთი დეფიციტის პირობებში დასავლეთი საქართველოს კრედიტებს არ მისცემს და შესაბამისად ინვესტიციების იმედი ნუ გვექნება.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მთავრობის ასეთ პოლიტიკას, შესაბამისობას სიტყვას და საქმეს შორის. მაგრამ ესეც არ გამოდგება გამართლებულ არგუმენტად. თუ აფხაზეთის კონფლიქტი ისეთი მასშტაბებით ეხება ჩვენს ეკონომიკას, რომ მისი რეფორმა შეუძლებელია, მაშინ მთავრობამ უნდა დაასაბუთოს ეს, გვერდზე გადადოს ზემოთ დასახელებული პერსპექტიული პროგრამა და შეიმუშაოს დღეისათვის აუცილებელი ღონისძიებების პაკეტი, რომელიც ომის პირობებში ღირსეულად წარმოჩენასთან ერთად ჩვენს სახელმწიფოს ნიადაგს მოუმზადებს მომავალში რეფორმების წარმატებით ჩატარებისათვის.

ერთიანი სახელმწიფო-სამთავრობო პროგრამის არარსებობამ დაღი დაასვა ცალკეულ სამინისტროთა საქმიანობას. უმაღლეს ეშელონებში შექმნილი სიტუაცია საკმაოდ მძიმეა: საკანონმდებლო ვაკუუმი, სამთავრობო პროგრამის უქონლობა, ბიუჯეტის არარსებობა. ასეთ პირობებში ყოველთვის სარგებლობდა და სარგებლობს აპარატი ყველა დონეზე. სამინისტროების აპარატით დაწყებული და მინისტრთა კაბინეტის აპარატით დამთავრებული. ისინი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიან გარკვეული პოლიტიკური ძალებისა და ეკონომიკური კორუმპირებული ძალების შერწყმისა და ფინანსურ-პოლიტიკური ოლიგარქიების ჩამოყალიბებისთვის. ამავე დროს, მინისტრთა კაბინეტის აპარატი ძალზე ხშირად ძველი ინერციით სცილდება თავის უფლებამოსილებას და ღებულობს თავის კომპეტენციის ფარგლებს გაცილებულ დადგენილებებსა და დებულებებს. ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, აღსანიშნავია ის, რომ საპარლამენტო კომისიები აშკარად პასიურობენ და მათი კონტროლის მექანიზმები აშკარად არაქმედითუნარიანია. უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი ჩვენთვის მიუღებელია მინისტრთა კაბინეტი — მონსტრი, ასე მიუღებელია სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ამორფულობა, ინერტულობა, ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გაურკვევლობა. ჩვენი აზრით, სანამ ქვეყანაში ომია და ახალი მინისტრთა კაბინეტის ფორმირების ვადები გაურკვეველია, სახელმწიფოს მეთაურის აპარატმა უნდა შეასრულოს პოლიტიკური კოორდინატორის ფუნქცია აღმასრულებელსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის.

ხშირად რაციონალურისაგან ძალზე შორს არის მმართველობითი სტრუქტურა და რიცხოვნება: ხდება ზოგიერთი საქმიანობის პარალელიზმი (მეცნიერებათა აკადემია და მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი და ვაჭრობის და მატერიალური რესურსების სამინისტრო და სხვა). ეს სტრუქტურები სასწრაფოდ გადასახედი და შესაცვლელია.

• • •

პოლიტიკურ და ეკონომიკურ ღრმა კრიზისს ქმნის ხელისუფლების დეფიციტი, არა მარტო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოში, არამედ პერიფერიებშიც, შიგა პოლიტიკური ფაქტორებიდან, ალბათ, არც ერთი არ არის ისეთი ფეთქებადი, როგორც ადგილობრივი მმართველობის სისტემა. მიუხედავად ხელისუფლების მიერ [illegible] პროექტში [illegible] ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებში [illegible], სახელმწიფოს მმართველობის ახალი სტრუქტურის — მერიის ჩამოყალიბება ქუთაისში, ფოთში, რუსთავში; საკრებულოს [illegible] თბილისის მერიაში და ამ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების (ფუნქციონირება), ვერ უზრუნველყოფს სათანადო შიდაპოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევას... შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მეთაურისათვის ამ კუთხით უფლებამოსილების გაზრდამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა და დღის წესრიგში თავად მის მიერ დაისვა ადგილობრივი არჩევნების რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში გამართვის საკითხი. ამის თქმის უფლებას გვაძლევს: ა) რაიონებში ხელისუფლების ქმედითუნარიანი წარმომადგენლობითი ადგილობრივი ორგანოების არარსებობა, რაც, ერთის მხრივ, გამორიცხავს მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობას საზოგადოებრივი მმართველობის პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ, იწვევს რაიონში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების იზოლაციას, დათრგუნვას და მათ აუცილებელ დაპირისპირებას სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან; ბ) ერთგვარი პოლიტიკურ-სამართლებრივი ეკლექტიზმი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შექმნის დროს, რომელიც ვერ ასახავს რაიონში რეალურად არსებულ ძალთა თანაფარდობას, რის გამოც ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების პირობებში ხშირად თვითონ გამოდის მადესტაბილიზებელი ფაქტორის როლში.

ჩვენი აზრით, რეფორმამ ამ კუთხით უნდა წარიმართოს ისე, რომ ადგილებზე შეიქმნას ძლიერი მმართველობითი ორგანოები — მტკიცე ხელისუფლების, სახელმწიფო აღმშენებლობისა და რეფორმების წარმატებით ჩატარების გარანტი, ამავე დროს, ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს გარანტიები (მექანიზმები) მათი საქმიანობის მაქსიმალური კონტროლისა (ადმინისტრაციები).

• • •

რა არის ზემოთ აღნიშნული პრობლემების მიზეზი, რა უშლის ხელს ორგანიზაციულ-მმართველობითი თვალსაზრისით რეფორმის განხორციელებას? უპირველეს ყოვლისა ის, რომ პარლამენტსა და მთავრობას შორის არ არის შეთანხმება (ორგანული კავშირი) სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის, რეფორმებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნისა და მისი განხორციელების საქმეში. დიდ როლს ასრულებს თვითონ მთავრობის დამოკიდებულება რეფორმებისადმი და მისი ინერტულობა საკანონმდებლო საქმიანობაში. გარდა იმისა, რომ მინისტრთა კაბინეტის მიერ შემოტანილი კანონპროექტები ძალზე უსუსურია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მათი საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მარტო ამ კანონპროექტების შემოტანითა და მათი ბედის ანაბარად დატოვებით არ უნდა ამოიწუროს. დღევანდელი აღმასრულებელი ხელისუფლება რეფორმისტული რომ იყოს, სტაბილიზაციისა და რეფორმების შესახებ მათ მიერ შემოთავაზებული დოკუმენტები მისთვის ნამდვილად ერთიანი სამოქმედო პროგრამა რომ ყოფილიყო, მაშინ, ბუნებრივია, საჭირო აღარ იქნებოდა რეფორმების შტაბის შექმნა, ხოლო თუკი მის არსებობას რაიმე გამართლება აქვს, მაშინ მისი დღევანდელი სტატუსი აშკარად არასაკმარისია ცხოვრებაში რეალური ღონისძიებების გატარებისათვის. ამიტომ ხსენებული შტაბი უნდა გაუქმდეს. მაგრამ აუცილებელია არსებობდეს სტრუქტურა — ქვეყანაში რეფორმების რეალურად წარმმართველი და მის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი. სასურველია, რომ ეს იყოს თვითონ მთავრობა პრემიერის ან უშუალოდ სახელმწიფო მეთაურის (და არა ფიქცია ჯოხის გადასატეხად, როგორც ახლანდელი რეფორმების შესახებ) ხელმძღვანელობით. ზოგადი სქემა ასეთია. საპარლამენტო უმრავლესობა თავისი პოლიტიკური პრინციპებითა და პროგრამით, საკანონმდებლო გრძელვადიანი სამუშაო გეგმით — ამ უმრავლესობის მიერ ჩამოყალიბებული მისი პოლიტიკური პროგრამის მხარდამჭერი რეფორმისტული მთავრობა — ერთიანი გუნდი. ამ სქემაში, რა თქმა უნდა, დიდი და მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონსტრუქციულ-საპარლამენტო უმცირესობას. ხოლო თუკი უფრო მიზანშეწონილად რეფორმების შტაბის ცალკე არსებობას მიიჩნევს პარლამენტი და მთავრობა საჭიროდ, მაშინ მისი რეალური სტატუსი უნდა გაიზარდოს და გადაწყვეტილებები სავალდებულო უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთათვის ნებისმიერ დონეზე. მისი საქმიანობის კონტროლს განახორციელებს სახელმწიფოს მეთაური.

და, ბოლოს, ვითვალისწინებთ რა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების სიმწვავეს, მიგვაჩნია, რომ ვერანაირი ერთჯერადი აქტი ჩვენს ქვეყანას ამ ღრმა და გაჭიანურებული კრიზისიდან ვერ გამოიყვანს (თუნდაც მთავრობის გადადგომა ან ახალი საპარლამენტო არჩევნები), ამიტომ საჭიროა ყოველდღიური, პერმანენტული, მეთოდური მუშაობა, რათა:

1. გაუმჯობესდეს პარლამენტის მუშაობა, ჩამოყალიბდეს უმრავლესობა და უმცირესობა, განვითარდეს მათი კანონშემოქმედებითი საქმიანობა კონსტრუქციულ ნიადაგზე.
2. უმრავლესობამ დააკომპლექტოს მთავრობა.
3. შემუშავდეს რეფორმების ერთობლივი პოლიტიკა;
4. გარდაიქმნას მინისტრთა კაბინეტის აპარატი, დამუშავდეს მისი და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის დებულებები ორგანიზაციული სრულყოფის მიმართულებით.

მოხსენებაში დასმული პრობლემებიდან მრავალის მოგვარება დღესვე შეიძლება.

თბილისის საფინანსო-ეკონომიკური კოლეჯი
აცხადებს მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის
დღის განყოფილების ქართული სექტორის შემდეგ
სპეციალობებზე:

1. ფინანსები — (სპეციალიზაცია — საგადასახადო სამსახურის მენეჯერი საბიუჯეტო აღრიცხვა, საბაჟო საქმე)
2. სადაზღვევო საქმის მენეჯერი
3. საბანკო საქმის მენეჯერი
4. ბუღალტრული აღრიცხვა

დაუსწრებელ განყოფილებაზე ქართული და რუსული სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფინანსები — (სპეციალიზაცია — საბიუჯეტო აღრიცხვა, საგადასახადო სამსახურის მენეჯერი)
2. საბანკო საქმის მენეჯერი
3. ბუღალტრული აღრიცხვა

დაუსწრებელ განყოფილებაზე განცხადების მიღება იწარმოებს აგრეთვე ქუთაისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში (რ. თაბუკაშვილის 161) შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფინანსები — (სპეციალიზაცია — საბიუჯეტო აღრიცხვა, საგადასახადო სამსახურის მენეჯერი)
2. ბუღალტრული აღრიცხვა

მისაღები გამოცდები ჩატარდება ქ. ქუთაისში.

თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ კოლეჯში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები.

კოლეჯში შემსვლელები აბარებენ მისაღებ გამოცდებს ორ საგანში:

ქართული სექტორი — 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
2. მათემატიკა (ზეპირი)

რუსული სექტორი — 1. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა)
2. მათემატიკა (ზეპირი)

კოლეჯში სწავლების დღის განყოფილებაზე განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 31 ივლისამდე; ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე, ყოველ დღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 15 საათამდე.

აბიტურიენტებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:
1. საშუალო განათლების დოკუმენტი დედანი დანართთან ერთად
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086)
3. ექვსი ფოტო-სურათი (ზომით 3 X 4)
პასპორტსა და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

აბიტურიენტები საბუთების შეტანის დროს მომსახურებისათვის გადაიხდიან 500 კუპონს.

მისაღები გამოცდები იწარმოებს დღის განყოფილებაზე 1 აგვისტოდან, დაუსწრებელ განყოფილებაზე 11 აგვისტოდან.

აბიტურიენტთა კოლეჯში ჩარიცხვა მოხდება მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით.

კოლეჯში სწავლება უფასოა, სტუდენტები მიიღებენ 2800-დან 3300 მანეთამდე სტიპენდიას, შემდგომში ხელფასის მომატებასთან ერთად შესაბამისად მოხდება სტიპენდიის გაზრდაც.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ კოლეჯში.

მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი
მიცკევიჩის ქ. 19 მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან".
ტელეფონი: 38-55-69, 38-30-55



თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი
«საქართველო»

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების სპეციალობებზე:

1. სამკურნალო საქმე (მეან-გინეკოლოგია, ქირურგია, თერაპია),
2. სტომატოლოგია,
3. პედიატრია.

ინსტიტუტს აქვს ქართული და რუსული სექტორები. სწავლის ხანგრძლივობა 7 წელია (სტომატოლოგია — 6 წელი). სწავლა ფასიანია.
საბუთები მიიღება 20 ივლისიდან 16 აგვისტომდე ყოველდღე (კვირის გარდა).
11-დან 16 საათამდე.
ინსტიტუტში აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. განცხადება რექტორის სახელზე;
2. საშუალო, ან საშუალო სპეციალური განათლების ატესტატი (დედანი);
3. სამედიცინო ცნობა ფორმა № 086);
4. ექვსი ფოტოსურათი (3X4);
5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
6. პასპორტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.
საბუთების შემოტანის დროს აბიტურიენტი საორგანიზაციო ხარჯებისათვის იხდის 5000 მანეთს.
მისაღები გამოცდა ჩატარდება 19 აგვისტოს.
1. ქიმია-ბიოლოგიაში — ტესტური მეთოდით.
საბუთები მიიღება და გამოცდები მოეწყობა ინსტიტუტის მისამართზე:
თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1. ტელეფონი: 37-18-29; 38-40-72.

სულით უკვდავთა საზოგადოების
განცხადება

სულით უკვდავთა საზოგადოება რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია.

საზოგადოება არის საერთო და სასულიერო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შუამავალი, რომელიც სულის უკვდავების წყაროებად მიიჩნევს სამშობლოს ანუ საქართველოს, მის რელიგიას, დედაენას, დამწერლობას, ტრადიციებს, დედა ბუნებას, მეგობრობას, სიყვარულს, შრომას.

საზოგადოება მისი წესდების შესაბამისად აცხადებს ყოველწლიურ კონკურსს მედიცინის, პედაგოგიკისა და საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის დარგში სამ-სამი საუკეთესო მუშაკის გამოსავლენად.

სამი პირველი პრემია განისაზღვრება
– 100 000 კუპონით
სამი მეორე პრემია განისაზღვრება
– 80 000 კუპონით
სამი მესამე პრემია განისაზღვრება
– 60 000 კუპონით

აღნიშნული თანხების გაცემისას გათვალისწინებული იქნება სათანადო ინდექსაცია.

პრემიების მიკუთვნება მოხდება მოსახლეობიდან შემოსული წერილების საფუძველზე და შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით.

კონკურსის შედეგები შეჯამდება 1994 წლის 5 ივნისს.

საზოგადოების ადგილსამყოფელია:
თბილისი — 380093, ზ. რუხაძის 1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, III სართული, ოთახი 43, ტელ. 36-27-21

საზოგადოების გამგეობა

ივანე
ბერიტაშვილი
პრემიის
მოსაპოვებლად

საქართველოს
მეცნიერებათა აკადემია
აცხადებს კონკურსს
გამოჩენილი ქართველი
მეცნიერის ივანე
ბერიტაშვილის
სახელობის პრემიის
მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი
ცნობებისათვის უნდა
მიმართოთ
საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის
ფიზიოლოგიისა და
ექსპერიმენტული
მედიცინის განყოფილებას:

რუსთაველის პროსპექტი
№ 52, ოთახი № 411.
ტელ.: 99-95-96

საქართველოს
მეცნიერებათა აკადემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა...

ანუ უსაწვავობით ეკონომიკა გვეღუპება, ჩვენგან კი ბენზინი სომხეთში გადის

ვაი დიდება, აგერ გუშინწინებში არ იყო, ბენზინი წყლის ფასად რომ იყიდებოდა? აქაოდა მუქთაა, მთელი საქართველო ავტომობილში იჯდა და წაღმა-უკუღმა დაგრიალებდა. დღეს კი ბენზინს იმისთანა ცეცხლი უკიდია (როდის ჩაქრება არავინ უწყის), კაცი თბილისიდან საგარეუბნო ზონაშიც ვეღარ გასულა, მშობლიურ სოფელში ნათესავ ვაზს ვეღარ მიფერებია, მეგლოვიარე მეგობრისა და ნათესავისთვის ვერ მიუსამძიმრებია. ახლა ველ-მინდვრებში გაიხედეთ, რა ხდება? ხორბლის სათხოვნელად მთელ მსოფლიოში ხელი გაგვიწვდია, აქ მოწეული პურეული კი გვილპება, უსაწვავოდ ვერ აგვიღია, ჩაის პლანტაციებში მოკრეფილი ფოთოლი ფაბრიკამდე ვერ მიგვიზიდია, გლეხკაცს მოსავალი ულპება და დიდქალაქში ვერ ჩამოუტანია. ბენზინის შიმშილი მოსდებია მთელ საქართველოს და გამოსავლისთვის კი ვერ მიგვიგნია.

იქნებ სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტში" აგვიხსნან, რა ხდება? სწორედ ამ მიზნით ვეწვიე მის თავმჯდომარეს დავით ზუბიტაშვილს.

— ბატონო დავით, რა დასამალია, ხალხში ხმები დადის, თითქოს სახელმწიფო სახსრებით შეძენილ ბენზინს საქმოსნები საქართველოდან სომხეთში ეზიდებიან. რა თქმა უნდა, ამის მოტივიც არსებობს — იქ თურმე ლიტრ საწვავს 1200 მანეთად ყიდიან.

— ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ მტკნარი სიცრუეა. მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო — ჩვენს მიერ შემოტანილი საწვავი ნაწილდება მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებზე. თუ ვინმეს საწინააღმდეგო დამადასტურებელი მასალები გააჩნია, კეთილი ინებოს და, ფაქტებით ილაპარაკოს.

— ფაქტი ის არის, რომ ბენზინი ცისტერნებით მართლაც გადის სომხეთში (ამის მნახველი ბევრია), თანაც შეიარაღებული დაცვის თანხლებით.

— მაგრამ ეგ საწვავი კერძო სტრუქტურებისაა და სახელმწიფო კონცერნს მათთან არავითარი კავშირი არა აქვს.

სხვათა შორის, ბევრს წარმოდგენა არა აქვს სახელმწიფო კონცერნის ფუნქციებზე და ყველაფერს — ავსაც და კარგსაც ჩვენ მოგვაწერს. მინდა განვმარტო, რომ კონცერნს მარტო ბენზინით და დიზელის საწვავით მომარაგება კი არა (როგორც ზოგიერთს ჰგონია), ქვეყნის ყველა სახეობის ნავთობპროდუქტებით (მასში 100-ზე მეტი დასახელების 200-ზე მეტი სახეობის ნავთობპროდუქტი შედის) უზრუნველყოფა აკისრია. და იცით, მთლიანობაში რესპუბლიკისათვის საჭირო ეს პროდუქტები რამდენს შეადგენს? 5 მილიონ ტონაზე მეტს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენში მოპოვებული ნავთობი (120-140 ათასი ტონა წელიწადში) მხოლოდ 3 პროცენტით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ყველაფერი ცხადი გახდება: საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს, რომელმაც ნავთობპროდუქტები თითქმის მთლიანად უნდა შეიძინოს.

აქამდე ვიძენდით კიდეც. შესყიდული ნავთობპროდუქტების 82 პროცენტი რუსეთზე მოდიოდა, მათ შორის საავტომობილო ბენზინის 100 პროცენტი. წარმოიდგინეთ, რომ დღეს რუსეთი აღარაფერს იძლევა, მან მთლიანად გადაგვიკეტა გზა და ბლოკადა გამოგვიცხადა. ვიდრე არ დაიდება სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება, აღარაფერს მოგვცემენ. ამას ისინი ოფიციალურად გვიცხადებენ.

— რუსეთი ნავთობპროდუქტების 82 პროცენტს იძლეოდა, მაგრამ სადღაა დანარჩენი 18 პროცენტი?

— დანარჩენს აზერბაიჯანი, უკრაინა, უზბეკეთი და თურქმენეთი გვაწვდიდა. დღისდღეობით ამათგან ანგარიშსწორების საკითხი მხოლოდ აზერბაიჯანთან მოგვარდა, ყველა დანარჩენთან საბანკო ურთიერთობა გაწყვეტილია. საერთოდ, ცნება გადარიცხვა, რომელსაც ასე ვიყავით მიჩვეულნი, პრაქტიკიდან ამოვარდა, ურთიერთობის საშუალებად დარჩა მხოლოდ ვალუტა, რომელიც სამწუხაროდ, არა გვაქვს. რესპუბლიკაში არც იმდენი პროდუქცია გვაქვს, რომ ბარტერულ გაცვლებზე წავიდეთ.

— აზერბაიჯანიდან კონკრეტულად რას ველით?

— მისგან საქართველომ აიღო კრედიტი, საიდანაც 1,5 მილიარდი მანეთი დაეთმო ნავთობპროდუქტებს. ამ დღეებში აზერბაიჯანიდან შემოვა დიზელის საწვავი, საავიაციო ნავთი, სხვადასხვა საპოხი მასალები.

— ბენზინი?

— არა. ბენზინი გათვალისწინებული არ არის და იგი არც არასდროს მოუწოდია აზერბაიჯანს.

მინდა ხალხმა იცოდეს, რომ ასეთი მძიმე ბლოკადის მიუხედავად წლის პირველ ნახევარში კონცერნმა მაინც შესძლო 12 მილიარდი მანეთის ნავთობპროდუქტების შემოტანა. ეს გახლავთ 60 ათასი ტონა დიზელის საწვავი, 33 ათასი ტონა საავტომობილო ბენზინი, 27 ათასი ტონა მაზუთი, 4 ათასი ტონა საავიაციო ნავთი და სხვა. აქედან 4 მილიარდი მანეთის საწვავი კომერციული არხებით შემოვიდა.

— ბატონო დავით, მახსოვს გაზაფხულზე ჩეჩნეთიდან ვიღებდით საწვავს და, შედარებით ხელსაყრელ ფასებშიც. ახლა რა მოხდა?

— აქაც რუსეთმა გვიყელა, მახაჭკალასთან საბაჟო გახსნა და გზა გადაგვიკეტა. იხუმრებით? ამ გაჭირვების ჟამს იქაურმა მებაჟეებმა გროზნოდან წამოსული 42 ვაგონი (2400 ტონა) საწვავი უკან გააბრუნეს.

— მაგრამ თუკი კერძო ფირმები მაინც ახერხებენ ბენზინის შემოტანას, ამას რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო კონცერნი?

— ისინი ნაღდი ფულით ვაჭრობენ და იმიტომ. ჩვენც რომ ნაღდ ფულზე შემოვიტანოთ საწვავი, მაშინ ის ასევე ნაღდ ფულზე უნდა გავყიდოთ, რაც შეუძლებელია. აბა, წარმოიდგინოთ, საბიუჯეტო ორგანიზაციები, რომელთა წილი ჩვენი მომსახურების სფეროში 37 პროცენტზე მეტია, როგორ მოახდინენ ანგარიშსწორებას? ასე რომ, ეს გზა სარგებელს ვერ მოგვიტანს.

ერთი მინდა ვთქვა: არავინ იფიქროს, რომ მხოლოდ რუსეთზე ვიყოთ მიჩერებული და არსაით გამოსავალს არ ვეძებდით. ჩვენ გვქონდა საქმიანი შეხვედრები კუვეიტის, სირიის, არაბეთის ემირატების სათანადო უწყებებთან, რომელთაც გამოთქვეს დახმარების სურვილი, შედარებით შეღავათიან ფასებში მოგვყიდიან ნავთობპროდუქტებს, ოღონდ ანგარიშსწორება მოხდება ვალუტით. მაგრამ რა ვალუტის პატრონები ვართ, ყველას კარგად მოეხსენება. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც წინასწარი გადახდის გარეშე შეგვპირდა 5 ათასი ტონა ბენზინის მოწოდებას, არის კორეა. მასთან გაფორმებულია შეთანხმება და იმედი გვაქვს, რომ საკითხი უახლოეს პერიოდში გადაწყდება.

— მაგრამ ეს, ცხადია, მდგომარეობიდან ვერ გამოგვიყვანს.

— რა თქმა უნდა, ამიტომაც, სახელმწიფო კონცერნს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები რეალურ მომწოდებლებთან, რომელთაც გააჩნიათ კვოტებიც და ლიცენზიებიც გარკვეული რაოდენობის ნავთობპროდუქტებზე. ესენია 200 ათასი ტონა ბენზინი, 160 ათასი ტონა დიზელის საწვავი, 300 ათასი ტონა მაზუთი, 5 ათასი ტონა სანათი ნავთი, 20 ათასი ტონა ზეთები, რომელთა საერთო ღირებულება 100 მილიარდი მანეთია. მაგრამ იმის გამო, რომ მომწოდებლები ისევ და ისევ არიან ჩეჩნეთის, თათრეთის, რუსეთის სხვადასხვა ქალაქების ორგანიზაციები (მათთან ანგარიშსწორების ფორმები დადგენილი არ არის), პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ძალიან გვიჭირს. სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს ეს პრობლემა თურქმენეთთან, უზბეკეთთან და სომხეთთანაც.

ქვეყნის გასაჭირი

უნდა ავამოქმედოთ ადგილობრივი რესურსებიც. მხედველობაში მაქვს „საქნავთობის" დეპარტამენტი, რომელსაც შეუძლია თავისი ეზემის ფარგლებში თვეში საშუალოდ 15-20 ათასი ტონა ნავთობი ამოიღოს და ბათუმის ქარხანაში გადაამუშაოს. ეს რესპუბლიკას ყოველთვიურად მისცემს 2500 ტონა ბენზინს, 4000 ტონა დიზელის საწვავს, 1200 ტონა საავიაციო ნავთს, 5-6 ათას ტონა მაზუთს. თუმცა, ნავთობსადენი თუ არ დავიცავით მტაცებლებისგან, ვერც ამ პრობლემას გადავწყვეტთ.

ერთადერთი იმედის მომცემია ტრანზიტული გადაზიდვებიც. ახლახან გაფორმდა ხელშეკრულება სომხეთთან იმის თაობაზე, რომ ბათუმის პორტიდან შემოტანილი ნავთობპროდუქტების 30 პროცენტი საქართველოს დარჩება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხეთმა უკვე დაიწყო რუსეთიდან ნავთობპროდუქტების შემოტანა, უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპუბლიკა წელს დამატებით მიიღებს 5-6 ათას ტონა ბენზინს, 6-7 ათას ტონა დიზელის საწვავს და სხვა პროდუქტებს. არის შეთანხმება ჩეჩნეთსა და აზერბაიჯანთანაც, რომლებიც ბათუმის მეშვეობით აპირებენ ნავთობპროდუქტების საზღვარგარეთ გატანას.

არის სხვა წყაროც — ბარტერული გაცვლები, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვერ ვიყენებთ. დღეს ყველა უწყება და ორგანიზაცია ძველებურად მოითხოვს სახელმწიფოსგან საწვავით უზრუნველყოფას, მაგრამ იმას აღარ უყურებს, რომ ქვეყანა ექსტრემალურ, საომარ მდგომარეობაშია და უჭირს მათი დაკმაყოფილება, არადა, ბევრ მათგანს, ვინც ქმნის პროდუქციას, ბარტერული გაცვლის გზით შეუძლია საწვავის შემოტანა. ამ მხრივ ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ, ვთანამშრომლობთ საწარმო-ორგანიზაციებთან და შედეგსაც ვაღწევთ. მაგალითად, ვოლგოგრადში გავგზავნეთ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქცია, საიდანაც ისინი საწვავს მიიღებენ. ამ დღეებში გაიგზავნება რუსთავის „აზოტის" გაერთიანებისა და მეტალურგიული კომბინატის პროდუქციაც. ასევე ჩაებნენ ჩვენთან მუშაობაში ხობის, სენაკის, წყალტუბოს, გალის, ზუგდიდის რაიონები, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბარტერული გაცვლის სიკეთეს ყველა ვერ იყენებს.

— ბატონო დავით, ჩვენი უყაირათობაც ხომ არ უწყობს ხელს რესპუბლიკაში არსებული საწვავის დეფიციტს?

— არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ, ისეთი რესპუბლიკისთვის, როგორიც საქართველოა, ნამდვილად არ არის საჭირო 5 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტები (ეს მოქმედი ფასებით 400 მილიარდ მანეთს შეადგენს).. სამინისტროებმა, ინსტიტუტებმა, სხვა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა გადახედონ ნავთობპროდუქტების ხარჯვის დრომოჭმულ ნორმატივებს, რომელიც, შეიძლება ითქვას, ანადგურებს რესპუბლიკის ეკონომიკას, ხელს უწყობს საწვავის დატაცებას.

— დაბოლოს, რა უნდა გაკეთდეს, რომ მოსავალი მინდორში და პლანტაციებში არ დაგვრჩეს?

— ამას უკვე ვაკეთებთ. როგორც აღვნიშნე, აზერბაიჯანიდან შემოდის დიზელის საწვავი, რომელიც ძირითადად მოხმარდება მოსავლის აღებას. კონცერნმა რაღაც გზებით მოახერხა 810 მილიონი მანეთის რუსეთში გატანა და ამ დღეებში იქიდანაც დაიწყება საწვავის შემოტანა. ეს და ზემოთ დასმული საკითხები თუ გადაწყდა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ცოტას ამოისუნთქებს.

●

ამით დამთავრდა ჩემი საუბარი „საქნავთობპროდუქტების" კონცერნის თავმჯდომარესთან. ბატონმა დავითმა საწვავის დეფიციტთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს ნათელი მოჰფინა, ბევრი სატკივარი და პრობლემა წარმოაჩინა, მაგრამ ყველაფერი მაინც ვერ ითქვა.

ჩემთვის და ბევრი სხვისთვისაც, გაუგებარია, მაგალითად, ხელისუფლება ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებშიც კი რატომ არის ლოიალური ამ ფრიად საარსებო მნიშვნელობის პრობლემებისადმი. იმ დიდთონეთელი გრიგოლას (ჩემი კოლეგის ნარკვევის გმირია) ნათქვამისა არ იყოს, განა ცხადი არ არის, რომ ვინც საწვავსა და პურს ფლობს, ქვეყანაც იმისაა? თუ ეს გრიგოლამ იცის, რატომ არ იცის ჩვენმა მთავრობამ? და თუ იცის, რატომ ხდება, რომ ბენზინი და ფქვილი ფორმიანი დამცველების ესკორტით კვლავაც მთლიანად გაედინება რესპუბლიკიდან?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სად არიან რესპუბლიკის სასაზღვრო და საბაჟო სამსახურები, საგზაო პოლიცია? განა ეს ყველაფერი მათ თვალწინ არ ხდება?

მახსოვს, როცა კუპონები შემოიღეს მიმოქცევაში, მთავრობიდან გვპირდებოდნენ: იმ სტრუქტურებს, რომელთაც რუსეთიდან პროდუქცია შემოაქვთ, ყოველთვის ექნებათ საშუალება, კუპონები მანეთზე გადაახურდაონ, რათა ვაჭრობა და საქონლის მიმოქცევა არ შეფერხდეს. ეს დანაპირები რომ შესრულებულიყო, კონცერნს შეეძლებოდა კუპონით ევაჭრა (ამას აკეთებდა კიდეც დასაწყისში), ბანკში ფულზე გადაეცვალა და რესპუბლიკა ნავთობპროდუქტებით მოემარაგებინა. რადგან, ეს არ მოხდა, სადავეები მთლიანად ხელთ იგდეს კერძო სტრუქტურებმა, რომლებიც თუ როგორ ამარაგებენ საკუთარ ჯიბეს (და არა ხალხს), ყველა მშვენივრად ხედავს.

ეტყობა, მათ, სხვა თუ არაფერი, ლაგამი მაინც უნდათ ამოვდოთ, თორემ მადაძღრულები სადამდე იჭენავებენ (აქაური 600-700 მანეთი აღარ ყოფნით და სომხეთში ლიტრ ბენზინს 1200 მანეთად ასაღებენ), არავინ უწყის, მაგრამ ვინ უნდა ამოსდოს ლაგამი, თუ არა ისევ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ? ამის მშვენიერი მაგალითი მოგვცა ქუთაისის მერიამ (როცა თბილისში ლიტრ ბენზინში 100 მანეთს ითხოვდნენ, იქ 250 კუპონად იყიდებოდა), რომელმაც მაფიასთან ბრძოლაში ერთგვარ წარმატებას მიაღწია.

თუმცა, ამას იმდენად მაფია არც შეიძლება დავარქვათ; რამდენადაც უსინდისობა, რაც არ უნდა სიმდიდრის ცდუნებამ გაიტაცოს ქართველი კაცი, იმდენი ნამუსი მაინც ხომ უნდა შემოიტოვოს, რომ გლეხკაცს ვაზის მოვლისა და ბოსტნეულის მოყვანის საშუალება მისცეს? შე დალოცვილო (მაფიოზი ხარ თუ ბიზნესმენი), შენ რომ ქისაში აღარ გეტევა, ვერ ხედავ, გვერდით მშიერი რომ დაბორიალობს?

ესეც არ იყოს; საკუთარ თავსა და ცოლშვილზე მაინც ხომ უნდა იზრუნონ? საინტერესოა, სად აპირებენ ცხოვრებას პატივცემული ფულიანები — გამათხოვრებულ საქართველოში? იკმარეთ, ბატონებო, მოიგეთ, იმდენი, რამდენიც შეგერგებათ.

ოთარ ხუციშვილი.

მოვუაროთ ქართულ ენას

„კომპანია იღებს ტრასტში..."

რუბრიკას უძღვება პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე.

ბოლო დროს სხვადასხვა გაზეთში (მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკაშიც") ხანგამოშვებით იბეჭდება სარეკლამო განცხადება ახლად შექმნილი „საფინანსო-სატრასტო კომპანიისა", რომელიც თავის თავს „კონტინენტ-ინტერნეიშენელს" უწოდებს. ამ სარეკლამო განცხადებაში არა ერთი შეცდომაა.

ორიოდე კვირის წინათ ჩვენი რუბრიკით დაბეჭდილ წერილში („ვაჰ, „დრონი", „დრონი"!.. იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 19 ივნისი, 1993) ჩვენ მივუთითეთ ზოგიერთ შეცდომაზე, მაგრამ მათ გასასწორებლად თავი არავის შეუწუხებია (განცხადება რამდენჯერმე კვლავ დაიბეჭდა).

რა თქმა უნდა, ყველა დაწესებულება უფლებამოსილია არ გაიზიაროს ესა თუ ის შენიშვნა და საკუთარი შეხედულებისამებრ განაგრძოს თავისი საქმიანობის რეკლამირება, მაგრამ თუ **„კონტინენტ-ინტერნეიშენელს"** მესვეურები ქართული ენის ნორმების დარღვევით აპირებენ პოპულარობის მოპოვებას, აფერუმ მათ ვაჟკაცობას...

ზემოხსენებული კომპანია რომ პატივს არ სცემს ქართულ ენას, ეს, სხვათა შორის, მისი სახელწოდებიდანაც ჩანს. ანდა, რას ნიშნავს **„საფინანსო-სატრასტო კომპანია"** და ასეთი განცხადება: **„კომპანია იღებს ტრასტში წარმოების მიერ გამოშვებულ ნებისმიერ პროდუქციას"?!**

ერთი შეხედვით, ტრასტი რაღაც ახალი ეკონომიკური ტერმინი ეგონება კაცს, მაგრამ არა... თურმე ეს ინგლისური სიტყვა ქართულში „ნდობის" მაგივრად არის შემოპარებული. გამოდის, რომ „საფინანსო-სანდო კომპანია" ნდობას არ იმსახურებს, „სატრასტო" კი მიმზიდველად ჟღერს!.. ჩვენ, პირიქით, გვგონია, რომ ის კომპანია ნაკლებ სანდოა, რომელიც მშობლიურ ენას არ სცემს პატივს.

გზა, რომელიც გულებთან მიდის

პროფესორ ირაკლი ჭუმბურიძის ახალი წიგნის გამო

უფროსი თაობის ქართველ მედიცინის მოღვაწეებს, ვინც საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო განათლებას საქართველოში და იმათაც, ვინც დიდად შეუწყო ხელი მის შემდგომ განვითარება-სრულყოფას, ისევე როგორც მრავალი სხვა ქვეყნის საქმიანი საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლებს, ერთი ჩინებული ტრადიცია მოსდგამთ: ისინი არა მარტო მკურნალები და დასტაქრები იყვნენ, არამედ საინტერესო პუბლიცისტებიც, მემუარისტებიც და მხატვრული სიტყვის მსახურნიც, მისი ერთგული ტრფიალნიც. გავიხსენოთ თუნდაც ივანე გომართელი, ვახტანგ ღამბაშიძე, ირაკლი ტატიშვილი, ალექსი უსტიაშვილი, ირაკლი მენთეშაშვილი და არაერთი სხვა.

სწორედ ამ ტრადიციის გამგრძელებლად წარმოგვიდგა ახლა ცნობილი ქართველი მკურნალი და მეცნიერი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ჭუმბურიძე თავისი ახლახან გამოცემული ფრიად საინტერესო წიგნით — „გზა, რომელიც გულებთან მიდის" (გამომცემლობა „სამშობლო").

ეს მდიდარი შინაარსისა და ჩინებული ქართულით დაწერილი წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი და ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მოგონებები გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებზე, ვისაც წიგნის ავტორი მრავალი წლის მანძილზე იცნობდა, სისტემატურად მკურნალობდა და ვისთანაც მას კეთილი და ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა. ასეთია, კერძოდ, ესეისტური ტიპის მოგონება-ნარკვევები წიგნის ავტორის მასწავლებელსა და მეცნიერ ხელმძღვანელზე, აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილზე; გამოჩენილ ქართველ პოეტსა და მოღვაწეზე პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეზე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტსა და გამოჩენილ მეცნიერზე ილია ვეკუაზე; დიდ ქართველ მხატვარზე ლადო გუდიაშვილზე; ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეზე, საქართველოს განათლების პირველ კომისარზე, დავით კანდელაკზე; ქართული მუსიკის დაუცხრომელ მოღვაწეზე, რაჟდენ ხუნდაძეზე და ცნობილ ქართველ მედიკოსებზე, როგორიც იყვნენ: პეტრე სარაჯიშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, ვლადიმერ ჟღენტი, ვლადიმერ ასათიანი, ირაკლი ტატიშვილი, თადეოზ მამალაძე, გიგუცა დიდებულიძე, ვლადიმერ ბურჯანაძე, შალვა მახარაძე და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოხსენიებულთა გარდა, ირაკლი ჭუმბურიძეს, როგორც მკურნალს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა სხვა გამოჩენილ პიროვნებებთანაც: ნიკო მუსხელიშვილთან, შალვა ნუცუბიძესთან, სერგო ზაქარიაძესთან და ზოგიერთ სხვასთანაც.

წიგნის ეს ნაწილი განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველი გვეჩვენება. ავტორმა შეძლო მეტად საინტერესოდ, ამასთან დიდი პატივისცემითა და სიყვარულით დაეხატა სახელოვან ადამიანთა შინაგანი ბუნება, მათი ადამიანური მიდრეკილებები და ჩვევები, მათი ხასიათი და საინტერესო, ზოგჯერ მარტო ავტორისათვის ცნობილი შემთხვევები თუ ეპიზოდები მათი ცხოვრებისა.

როდესაც კითხულობ ირაკლი ჭუმბურიძის წიგნს, იმაშიც რწმუნდები, რაც პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ, როგორც იტყვიან, სტრიქონებს შორის იგულისხმება; რომ ექიმს უნდა შეეძლოს დააჯეროს ავადმყოფი თავის ძალასა და უნარში, და ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ექიმმა სრულყოფილად იცის ავადმყოფობის გამოვლენის ფორმები და სიმპტომები, როცა ავადმყოფის მიერ ნათქვამი ერთი სიტყვითაც კი, მკურნალი ადვილად მიხვდება მის სატკივარს, როცა ექიმი „შიგ წერტილში ურტყამს" და სულ ადვილად „იგებს" ავადმყოფის განცდებს, გრძნობებს, სადარდებელს, როცა მას თვით ავადმყოფზე უკეთ ესმის მისი მდგომარეობა...

წიგნიდან ისიც ჩანს, რომ ირაკლი ჭუმბურიძე სწორედ ასეთი სპეციალისტია, თავისი ხელობის უსაზღვროდ ერთგული, რომლისთვისაც უცხოა „ვერცხლის მოყვარეობა" და ანგარება. მას შეუძლია ერთ დაძახებაზე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, დარსა თუ ავდარში მაშინვე იქ გაჩნდეს, სადაც უჭირთ. ქმედითი აქტიურობა, გულითადობა მისი განუყრელი თვისებებია. მაგრამ, ამასთან ერთად, იგი არ



არის არც ზედმეტად აჩქარებული და არც ზედმეტად მოყაყმანე.

ირაკლი ჭუმბურიძე აცოცხლებს იმ ადამიანებსაც, ვისაც თანამედროვე მკითხველთა უმრავლესობა არც კი მოსწრებია და ვინც ავადმოსაგონარ 37 წლის მსხვერპლი გახდა. ასეთი იყო საქართველოს განათლების პირველი მინისტრი (მაშინ კომისრად წოდებული) დავით კანდელაკი, წიგნში კარგად ჩანს მისი პედაგოგიური, საზოგადოებრივი და ნაყოფიერი კულტურულ-ორგანიზაციული მუშაობა. სამახსოვროა და დიდი გულითადობით გამოირჩევა მოგონებები ცნობილ საექიმო მოღვაწეებზე — ნიკოლოზ ყიფშიძეზე, ვლადიმერ ჟღენტზე, თადეოზ მამალაძეზე, გიგუცა დიდებულიძეზე, ვლადიმერ ბურჯანაძეზე, შალვა მახარაძეზე.

ირაკლი ჭუმბურიძის წიგნში გამოქვეყნებულია სხვა ხასიათის მასალებიც: უცხოეთში მივლინებებისა და მოგზაურობების დროს მიღებული შთაბეჭდილებები, რომლებიც ყოველთვის შეიცავენ იმას, რაც მისი პროფესიის მედიკოსებს დაეხმარება სპეციალური პრობლემების გააზრებაში; ნაჩვენებია სამკურნალო საქმის თანამედროვე მდგომარეობა საზღვარგარეთის ქვეყნებში, გადმოცემულია მკურნალობის ახალი, პროგრესული მეთოდები. ასეთია მაგალითად, თხრობა ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინების შესახებ, როგორც საერთაშორისო კონგრესზე მიწვეული სპეციალისტისა.

ვფიქრობთ, რომ ირაკლი ჭუმბურიძის არც თუ დიდტანიანი, მაგრამ ტევადშინაარსიანი და ემოციური წიგნი ფრიად საგულისხმო იქნება არა მარტო სპეციალისტთათვის, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდა საექიმო კადრებისათვის, ვინც სერიოზულად ფიქრობს თავისი ცხოვრება ყველაზე კეთილშობილურ საქმეს — ადამიანთა ჯანმრთელობის საქმეს დაუკავშიროს, არამედ ფართო საზოგადოებრიობისთვისაც, რომლის ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრება ჩვენს უღმერთოდ მძიმე, უსაშველოდ გადამღლელ და ადამიანთა გულების დაუნდობლად გამცვეთ საუკუნეში, უმედიცინოდ სულ უფრო წარმოუდგენელი და უიმედო ხდება.

გიორგი ციციშვილი,
აკადემიკოსი,
გულიკო ჩაფიძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს დასწრებული სწავლების (ქართული და რუსული სექტორები) შემდეგ სპეციალობებზე:

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები — მენეჯერი;
2. ბიზნესის სამართალმცოდნე-მენეჯერი (იურისტ-ეკონომისტი);
3. ხელოვნების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა-მენეჯერი;
4. საფინანსო-საბანკო და საბუღალტრო საქმიანობის მენეჯერი;
5. წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა-მენეჯერი;
6. კომერციული და საბირჟო საქმიანობის მენეჯერი.

უნივერსიტეტში მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის მიუხედავად. ჩარიცხვა მოხდება საკონკურსო წესით. სწავლების ვადა ხუთი წელია. უნივერსიტეტში სწავლება ფასიანია.

უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს საზღვარგარეთის ცნობილ მეცნიერებთან, რომლებიც მოწვეული იქნებიან ლექციების წასაკითხად. წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ თავისი დამატებითი ხარჯებით სტაჟირება გაიარონ საზღვარგარეთის ქვეყნებში.

უფროსკურსელ სტუდენტებს უნივერსიტეტი სამეცნიერო-მეთოდურ დახმარებას გაუწევს სხვადასხვა ტიპის საწარმოების, ბანკების, ბირჟების, საბროკერო კანტორების, კომერციული ფირმების და ა. შ. შექმნასა და ჩამოყალიბებაში, რაც საშუალებას მისცემს მათ სწავლის პერიოდშივე ჩაებან პრაქტიკულ საქმიანობაში.

გამოცდები ყველა სპეციალობაზე ჩატარდება: მათემატიკაში (ზეპირი) და ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — ნაკითხულის შინაარსი).

საბუთები მიიღება 9-დან 24 ივლისის ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირისა) 11 საათიდან 16 საათამდე.

საბუთების შემოტანისას აბიტურიენტი იხდის გარკვეულ თანხას საორგანიზაციო ხარჯებისათვის. აბიტურიენტის ჩაჭრის, საბუთების უკან გატანის ან სხვა შემთხვევაში აღნიშნული თანხა არ დაუბრუნდება.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 086); 6 ფოტოსურათი (3 X 4); პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჩიტაძის ქ. №9 (47-ე სკოლის შენობა).

მე-11 კლასში გადასულთა საყურადღებოდ

ცხადდება აგრეთვე მე-11 კლასელთა მიღება ამავე უნივერსიტეტის მენეჯერთა ერთწლიან კურსებზე (სკოლაში). სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა. ჩარიცხვა მოხდება გასაუბრებით, რომელიც ჩატარდება საბუთების შემოტანისთანავე. სწავლება იწარმოებს შაბათ და კვირა დღეებში, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს ყველა რეგიონში მცხოვრებელ მოსწავლეებს ჩაირიცხონ აღნიშნულ კურსებზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ისინი მიიღებენ კურსდამთავრებულის დამადასტურებელ დოკუმენტს და მიეცემათ შეღავათი ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტში ჩარიცხვისას.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ცნობა, რომ არის მე-11 კლასის მოსწავლე; ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; სამედიცინო ცნობა (ფორმა 086); 6 ფოტოსურათი (3 X 4); დაბადების მოწმობის ასლი. საბუთების შეტანისას მსმენელი იხდის გარკვეულ თანხას საორგანიზაციო ხარჯებისათვის, რომელიც მას უკან არ უბრუნდება.

საბუთები მიიღება 9-დან 24 ივლისის ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირისა) 11-დან 16 საათამდე იგივე მისამართზე: თბილისი ჩიტაძის ქ. № 9 (47-ე სკოლის შენობა).

რექტორატი

ნიკიფორე ირბახის სახ. საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტი

აცხადებს

აბიტურიენტთა მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
2. საერთაშორისო სამართალი;
3. საერთაშორისო ჟურნალისტიკა.

სტუდენტები გაძლიერებული წესით შეისწავლიან ორ უცხო ენას და აღიჭურვებიან იმ ცოდნით, რაც აუცილებელია საერთაშორისო არენაზე მოღვაწეობისათვის, მათ შორის დიპლომატიური სამსახურისთვისაც.

მოწინავე სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას უცხოეთის ქვეყნებში. სწავლითა და ქცევით გამორჩეულ სტუდენტებს მიეცემათ სტიპენდია.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს (წერითი გასაუბრება) აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე:
მათემატიკა, ქართული, უცხო ენა;
2. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობებზე: ქართული, საქართველოს ისტორია, უცხო ენა.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. სწავლების ხანგრძლივობა ოთხი წელია. ლტოლვილთა და მრავალშვილიან დედათა შვილები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. ინსტიტუტის მიღების წესების შესაბამისად

1. მისაღები გამოცდები ტარდება წერითი გასაუბრების წესით;
2. გასაუბრებაზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად;
3. უმაღლესი განათლების მქონე პირები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ მეორე კურსზე;
4. ინსტიტუტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებებით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

ა) განათლების მოწმობა (დედანი), ბ) სამედიცინო ცნობა (ფორმა №086), გ) ოთხი ფოტოსურათი ზომით 3X4.

პასპორტისა და მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების მიღება იწარმოებს 25 ივნისიდან 24 ივლისამდე ყოველ დღე გარდა კვირისა 11 საათიდან 17 საათამდე.

ღია კარის დღე ჩატარდება 24 ივლისს.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 26 ივლისიდან.

ინსტიტუტში ჩარიცხვა დამთავრდება 5 აგვისტოს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 178, მე-18 სკოლა-ლიცეუმის შენობა (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ეზოში).

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 34-58-13; 34-57-94.

1996 წელს შესრულდება 650 წელი ქართველი ერის რჩეული წინაპრის მეფე გიორგი ბაგრატიონის (1290-1346 წ.წ.) ბრწყინვალის გარდაცვალებიდან. მისი ხსოვნის თარიღის აღნიშვნისათვის

გიორგი ბრწყინვალის ფონდი
და
საქართველოს მხატვართა კავშირი

აცხადებენ კონკურსს გიორგი ბრწყინვალის მხატვრული სახის შესაქმნელად სახვითი ხელოვნების ყველა დარგში.

შესრულების მასალა ნებისმიერია ფერწერისა და ქანდაკების ჟანრში პორტრეტის ერთი ნატურალური ზომა.

საკონკურსო ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იქნეს 1993 წლის 25 ნოემბრის 17 საათამდე საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში.

ნამუშევარს თან უნდა ახლდეს დახურული კონვერტი ავტორის ვინაობით, რომელსაც ჩაიბარებს გიორგი ბრწყინვალის ფონდი. დაწესებულია პირველი პრემია 200 000 მანეთის ოდენობით და სამი წამახალისებელი პრემია თითო 50 000 მანეთის ოდენობით.

გიორგი ბრწყინვალის ფონდი
ტელეფონი: 93-58-02; 95-50-74

თბილისის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამრეწველო წარმოების მენეჯმენტი.
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მენეჯმენტი.
3. სასურსათო და სამრეწველო საქონლის მარკეტინგი.
4. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა.
5. ისტორია.
6. უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული).

სწავლება ფასიანია. სწავლის ღირებულება ყოველწლიურად რეგულირდება ფულის კურსის ცვლილებების შესაბამისად. გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. სწავლება ოთხწლიანია.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

უცხო ენა — უცხო ენა, ქართული ენა და ლიტერატურა.
ისტორია — საქართველოს ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა.
ყველა დანარჩენ სპეციალობებში — მათემატია, ქართული ენა და ლიტერატურა.
ყველა გამოცდა ზეპირია.

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. **განათლების მოწმობა (დედანი)**
2. **ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 086)**
3. **ოთხი ფოტოსურათი (3 X 4).**

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (ან მიწერის მოწმობას) აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად. საგამოცდო ხარჯების გადასახადი — 2000 კუპ.

საბუთების მიღება 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 17 საათამდე.

მისამართი: თორნიკე ერისთავის ჩიხი, მე-6 პროფ. ტექ. სასწავლებელი, (მეტრო „დიდუბე").

ტელ.: 61-74-65, 61-35-98, 36-40-28.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საბინაო კომიტეტი ერთიანი დემოგრაფიული პოლიტიკიდან გამომდინარე ყიდულობს ბინებს წარმოება-დაწესებულებებთან, ფირმებთან, კონცერნებთან, და სხვა იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რისთვისაც საქართველოს ეროვნულ ბანკთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება.

ამასთან ვაცნობებთ დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს, რომ ქალაქის მერიასთან შეთანხმებით საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას ქ. თბილისის ყველა რაიონში გამოეყოს მიწის ნაკვეთები ბინათმშენებლობისათვის.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საბინაო კომიტეტი წარმოება-დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საკონკურსო წესით ასევე აფორმებს ხელშეკრულებებს საკურორტო ზონებში (მათ შორის შავიზღვისპირეთში) ბინათმშენებლობისათვის.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ოფისში, მისამართი ქ. თბილისი კრილოვის ქ №4.

ტელ. 96-54-96; 96-24-27

ხიდებ

გულს უხარია

წერილი ოკეანის გაღმიდან



დავით ბანძელაძე გერმანელი და ამერიკელი კოლეგების დახმარებით ჩაირიცხა კოლორადოს უნივერსიტეტის ასპირანტურაში ქალაქ ბოულდერში პოლიტოლოგიის სპეციალობით.

ჩვენ გამოგვაქვს წერილი, რომელსაც ხელს აწერს ბოულდერის უნიტარული უნივერსიტეტის პრეზიდენტი არდელია ბიფორდი:

„გვინდა გაუწყოთ, რომ ჩვენ ვართ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ბოულდერის უნიტარული უნივერსიტეტის გულღია, ცნობისმოყვარე მრავალფეროვანი რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანები. ბევრი რამ გავიგეთ თქვენი ქვეყნის, — საქართველოს რესპუბლიკის შესახებ. თავისი ახლადგათავისუფლებული სამშობლოს შესახებ ზოგადად, და კერძოდ, პოლიტიკური სიტუაციის თაობაზე ლექციის წასაკითხად მოვიწვიეთ დათო ბანძელაძე.

ჩვენ გვსმენია დათო ბანძელაძის მამის, პროფესორ გელა ბანძელაძის შესახებ, რომელსაც ჰქონია ინტელექტუალური სიმამაცე ელაპარაკა ადამიანის თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების თაობაზე თქვენი ქვეყნის ისტორიის მარქსისტულ პერიოდში. დათო აგრძელებს მამის კვალზე სიარულს. მისი მიზანია, შეისწავლოს დიპლომატია კოლორადოს უნივერსიტეტში, რომელსაც აქვს პოტენციური დიპლომატიური კადრების სწავლების უნიკალური პროგრამა.

თავის მოხსენებაში დათო ბანძელაძემ ბევრი რამ გვითხრა საქართველოზე, მის ისტორიაზე, ბუნებრივ და კლიმატურ პირობებზე, ქართველ ხალხზე, მისი კულტურისა და ენის შესახებ. ჩვენ ვნახეთ ვიდეოდოკუმენტური ფილმი საქართველოზე, მოვიხიბლეთ მისი ბრწყინვალე პეიზაჟებით. მაგრამ, ამავე დროს, დიდად შევწუხდით უკანასკნელი წლის განმავლობაში ეთნოკონფლიქტებისა და სამოქალაქო ომის შედეგად გამოწვეული ზარალისა და ნგრევის გამო. მართლაც სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ასეთ ლამაზ ქვეყანას და მის მოსახლეობას თავისი სუვერენიტეტის დაცვა უხდება იარაღით ხელში. იმედს გამოვთქვამთ, რომ ბატონი შევარდნაძე და საქართველოს ხელისუფლება შეძლებენ ძველი კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებას.

ლექციის შემდეგ დათომ მრავალ შეკითხვას უპასუხა, რამაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და აღგვიძრა სურვილი ვეწვიოთ საქართველოს. მანამდე კი ჩვენ ვილოცებთ მშვიდობისა და სტაბილიზაციის დამყარებისათვის თქვენს მშვენიერ ქვეყანაში".

* * *

სურათზე: დავით ბანძელაძე ბოულდერის უნივერსიტეტში ლექციების ჩატარების დროს.

კრიმინალური ქრონიკა

ზურგში ჩაცემული დანა

დაუჯერებელი ლოგიკაა, მაშინ, როდესაც აფხაზეთის ომში სამშობლოსათვის თავს წირავენ ჩვენი მეომრები, აქ, ზურგში, სასიკვდილოდ იმეტებენ ქართველები ერთმანეთს.

4 ივლისს, თბილისში, ტაშკენტის ქუჩის მე-18 სახლში მცხოვრებმა ლევან სოსელიამ ტყვიით დაჭრა გაიოზ და გერონტი სიდამონიძეები. ძმები მეცხრე საავადმყოფოში მოათავსეს.

იმავე დღეს გორის რაიონის სოფელ არაშენდაში ზაქარია ოქროპირიძემ დანით დაჭრა თანასოფლელი გიორგი კოშორიძე.

3 ივლისს კი, 13 საათზე, დავით ალმაშენებლის პროსპექტზე ტრაგედია დატრიალდა — ორმა ახალგაზრდამ ჯამლეთ ხოშტარიამ და მამუკა საგანაძემ ერთმანეთი სასიკვდილოდ დაჭრეს.

ქვეყანა წელებზე ფეხს იდგამს, ფრონტს რომ მიაწოდოს პირველი მოთხოვნილების საგნები. ამ დროს კი თბილისში, 4 ივლისს, დილის შვიდის ნახევარზე 20 შეიარაღებული, სამხედრო ფორმიანი პირი თავს ესხმის საქართველოს რკინიგზის თბილისის სავაჭრო ბაზარს (ზესტაფონის ქ. № 124), იტაცებს ორ სატვირთო ავტომანქანას და დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონებას.

ესეც ქურდული სამყაროს პატრიოტიზმი და ვაჟკაცობა!

4 ივლისს, კასპის რაიონის სოფელ ადაიანში 8 შეიარაღებულმა სამხედროფორმიანმა ბოროტმოქმედმა საკუთარი სახლის ეზოში დახვრიტა მევლუდ ფეიქრიშვილი.

5 ივლისს აგარა-გორის გადასარბენზე 652-ე მატარებლის მეათე ვაგონში დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა მოკლეს ბათუმის სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომელი, სერჟანტი ოლეგ დავითაძე და გაიტაცეს მისი სატაბელო იარაღი.

იმავე დღეს, ხარაგაულის რაიონის სოფელ საბეში ნახეს თინა ცისკაძეს გვამი, მკვლელობაში ეჭვმიტანილია საბეელი, ნასამართლევი პენსიონერი მელქო ბუხნიკაშვილი.



თბილისი. რა ისმის აფხაზეთიდან?

სიმონ კილაძის ფოტო.

ფეხბურთი

გულდასაწყვეტი ცნობა მოვიდა შვეიცარიიდან — უეფას შტაბ-ბინიდან: საქართველოს კლუბები ქვეყანაში შექმნილი საომარი, არასტაბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო მონაწილეობას ვერ მიიღებენ ევროთასების 1993-94 წლების გათამაშებაში. ამავე მიზეზით ანალოგიური გადაწყვეტილებაა მიღებული სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდების მიმართ.

მეტი რა ჩარაა — დავიცადოთ კიდევ ერთი წელი.

• • •

„ბელეს თასის" გათამაშების ჯგუფური ტურნირის მეორე ტურში იტალიელმა ვეტერანებმა („ა" ჯგუფი) ანგარიშით 3:2 დაამარცხეს ჰოლანდიელი თანატოლები და 4 ქულით ხელთ იგდეს ერთპიროვნული ლიდერობა.

ჩოგბურთი

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ უიმბლდონის ტურნირის დამთავრებისთანავე გამოაქვეყნა ახალი კლასიფიკაცია. მსოფლიოში უძლიერეს ჩოგნის ოსტატთა ათეულები ამჟამად ასე გამოიყურება:

ქალები: შტეფი გრაფი (გერმანია), მონიკა სელეში (იუგოსლავია), არანტა სანჩესი (ესპანეთი), მარტინა ნავრატილოვა (აშშ), გაბრიელა საბატინი (არგენტინა), კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი), მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ), იანა ნოვოტნა (ჩეხეთი), ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) და ანკე ჰუბერი (გერმანია).

• • •

ვაჟები: პიტ სამპრასი (აშშ)), ჯიმ კურიე (აშშ), სტეფან ედბერგი (შვედეთი), ბორის ბეკერი (გერმანია), სერხიო ბრუგიერა (ესპანეთი), ივანი ლენდლი (აშშ), მიხაელ შტიხი (გერმანია). ანდრია მედვედევი (უკრაინა), პეტრე კორდა (ჩეხეთი) და გორან ივანიშევიჩი (ხორვატია).

ინფორმაცია-93

„იბერიის" ლენტიდან

ბორჯომი. 1 ივლისიდან გაიხსნა ბორჯომის კომპოზიტორთა სახლი. გაყიდულია ყველა საგზური. დამსვენებელს ერთი დღე 7.200 კუპონი უჯდება. კომპოზიტორთა სახლის ხელმძღვანელობა ფიქრობს მთელი წლის განმავლობაში იმუშაოს. ამის გარანტიას ქმნის მეცხოველეობის ფერმა, რომელიც კომპოზიტორთა სახლმა ორი წლის წინ შეიძინა.

ნალჩიკი. („იბერია"-„ნეგა"). 4 ივლისს ნალჩიკში ჩატარდა ყაბარდოელ ხალხთა კონგრესის მიტინგი. მათ მოითხოვეს აფხაზეთისათვის დახმარების გაწევა. მიტინგზე მიიღეს მიმართვა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი, რომელშიც ნათქვამია: „შექმნილი ვითარება მოითხოვს რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან დაუყოვნებლივ ზომების მიღებას. კონგრესი მოითხოვს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევას, რათა განიხილონ აფხაზეთისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის საკითხები. ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რათა სასწრაფოდ მიიღონ ზომები აფხაზი ხალხის დასაცავად. თუ საჭირო იქნება, გამოცხადდეს მოხალისეთა მობილიზაცია".

მიტინგის მერე დაიწყო აფხაზეთში გასაგზავნ მოხალისეთა ჩაწერა. ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში ჩასულ მოხალისეთა რიცხვმა 1000 კაცს მიაღწია.

აზერბაიჯანი. („იბერია"-„ნეგა"). როგორც სააგენტო „ნოიან ტოპან"-ისათვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, აზერბაიჯანი ყარაბაღის ომს აფინანსებს ნარკოტიკების გაყიდვის ხარჯზე.

„ნტ"-ის ცნობით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური მოხსენების მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქმედი დანაშაულებრივი ორგანიზაციები აკონტროლებენ მოსკოვში გაყიდული ნარკოტიკების 80%-ს. მოსკოვში დაკავებული ნარკოტიკებით მოვაჭრეთა 80% ეროვნებით აზერბაიჯანელია.

ბაქო. („იბერია"-„ხაბარ-სერვისი"). აზერბაიჯანის ახალმა პრემიერ-მინისტრმა სურატ ჰუსეინოვმა გასულ კვირას მინისტრთა კაბინეტში ჩაატარა პირველი თათბირი რესპუბლიკის მთავრობის წევრებთან. მან განაცხადა, რომ განზრახული არა აქვს შეცვალოს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მაგრამ აღნიშნა, რომ თითოეულმა მათგანმა უნდა გააკეთოს არჩევანი პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის.

ბაქო. გუშინ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გეიდარ ალიევი შეხვდა გაეროს წარმომადგენელს აზერბაიჯანში მახმუდ ელ საიდს, ამერიკის ელჩს რიჩარდ მაილსონს, თურქეთის ელჩს ალთან ყარამანოღლუს და რუსეთის ელჩს ვლადიმერ შონიას. შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო მრჩეველი ვაფა გულიზადე. მოწვეული იყვნენ ჟურნალისტები.

შეხვედრაზე გეიდარ ალიევს უნდა გაეკეთებინა განცხადება რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, რომ მიუხედავად აშშ-ს, თურქეთისა და რუსეთის ინიციატივით მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს № 822 რეზოლუციისა, სომხეთის აგრესია არ შეწყვეტილა.

ალიევმა აგრეთვე აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი დიდ იმედებს ამყარებს მარიო რაფაელის ვიზიტზე, რომელიც 5 ივლისს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს რაფაელის ჩამოსვლა კვლავ გადაიდო.

მოგვიანებით საუბარი გაგრძელდა დახურულ კარს მიღმა.

LGV

ფირმა «ლგვ» გთავაზობთ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს როგორც ნაღდ ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით ორი სახის მაღალხარისხოვან წებოს, მინიმალური რაოდენობა 10 კგ.

1. წებო გერმეტიკი — გამოიყენება პარკეტის, ლინოლიუმის, ქვის, მინის დასაწებებლად. არის საუკეთესო საშუალება სველი წერტილების გერმეტიზაციისათვის.

2. წებო უნივერსალი — გამოიყენება ფეხსაცმლის წარმოებაში ტყავისა და რეზინის დასაწებებლად.

3. ფირმა «ლგვ» ასევე გთავაზობთ უცხოური წარმოების ტელექსს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, კანდელაკის ქ. 27
ტელეფონი: 37-15-40, 37-42-10, 39-32-37.
ფაქსი: 37-42-04.

მცირე ბიზნესისა და სამომხმარებლო ბაზრის მართვის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისთვის (ქართული და რუსული სექტორი) შემდეგ სპეციალობებზე:

1. მცირე ბიზნესისა და საბირჟო საქმიანობის მენეჯერი
2. სამომხმარებლო ბაზრის მარკეტოლოგ-მენეჯერი
3. საქონელმცოდნე-კომერსანტი
4. საბუღალტრო აღრიცხვა, სამეურნეო საქმიანობის ანალიზი და კონტროლი.

აბიტურიენტების შერჩევა მოხდება გასაუბრების საფუძველზე.

ინსტიტუტში უცხო ენების სწავლება სწარმოებს გაძლიერებული პროგრამით. სწავლების ვადა ოთხი წელია. სწავლის საფასური ერთი სასწავლო წლის მანძილზე უცვლელია და შეადგენს 60 ათას კუპონს.

მრავალშვილიანი ოჯახის შვილებისათვის, უდედმამო და ინვალიდი სტუდენტებისათვის დაწესებულია სწავლების შეღავათიანი გადასახადი. ფრიადოსან სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია და საზოგადოება „მარკეტინგი"-ს ფინანსური დახმარებით მიეცემათ სწავლების პარალელურად საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების შესაძლებლობა.

საბუთების შემოტანისას აბიტურიენტები საორგანიზაციო ხარჯებისათვის იხდიან 2000 კუპონს.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ:
- განცხადება რექტორის სახელზე
- განათლების მოწმობა (დედანი)
- ამონაწერი შრომის წიგნაკიდან თუ მუშაობს
- ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
- სამედიცინო ცნობა (ფორმა 086)
- ოთხი ფოტოსურათი 3X4
- პასპორტსა და სამხედრო ბილეთს წარმოადგენენ პირადად.

საბუთები მიიღება 7 ივლისიდან 27 ივლისამდე 11-დან 15 საათამდე, კვირა დღის გარდა.

გასაუბრება მცირე ბიზნესისა და საბირჟო საქმიანობის მენეჯერის, სამომხმარებლო ბაზრის მარკეტოლოგ-მენეჯერის, საბუღალტრო აღრიცხვა, სამეურნეო საქმიანობის ანალიზი და კონტროლის სპეციალობებზე იწარმოებს:

საქართველოს ისტორიაში, მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

საქონელმცოდნე-კომერსანტების სპეციალობაზე: საქართველოს ისტორიაში, გეოგრაფიაში, ქიმიაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

გასაუბრება 27 ივლისიდან 1 აგვისტომდე.

რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

მისამართი: ქ.თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის დასახლება, I მიკრო-რაიონი, 174-ე საშუალო სკოლის შენობა, მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი". ტელეფონი: 62-40-16.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის და აკად. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტებთან არსებული თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. იურიდიული — „სამართალმცოდნეობა".
2. ფსიქოლოგია-სოციოლოგიის — „ფსიქოლოგია-სოციოლოგია".
3. ფსიქოლოგიის — „ფსიქოლოგია, სამედიცინო ფსიქოლოგიის სპეციალიზაციით",
4. ეკონომიკის — „საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი" (მარკეტინგის მენეჯერი); „შრომის ეკონომიკა" (პერსონალის მენეჯერი).

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

იურიდიულ ფაკულტეტზე: „ქართული ენა და ლიტერატურა" (წერა); „სამართალმცოდნეობა" (ზეპირი).

ფსიქოლოგია სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის ფაკულტეტებზე: „ქართული ენა და ლიტერატურა" (წერა); „საქართველოს ისტორია" (ზეპირი).

ინსტიტუტში სტუდენტებად მიიღებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად. ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით. უმაღლესი განათლების მქონე პირნი ჩაირიცხებიან ინსტიტუტის მეორე კურსზე, პირველი კურსის განსხვავებული საგნების ჩაბარების შემთხვევაში.

აბიტურიენტებმა, განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ, თან უნდა დაურთონ:
- — საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (დანართთან ერთად).
- — სამედიცინო ცნობა (ფორმა №086).
- — 6 ფოტოსურათი, ზომით 3X4.
- — პასპორტისა და სამხედრო მოწმობის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისას, ხოლო პასპორტის და საგამოცდო ფურცლისა გამოცდებზე გასვლის დროს.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის მიმღები კომისიის სამდივნოს მიერ 1 ივლისიდან 7 აგვისტომდე, ყოველდღე გარდა კვირისა 10-00 საათიდან 18-00 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 9 აგვისტოდან. ჩარიცხვები დამთავრდება 15 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს.

ინსტიტუტში აბიტურიენტების ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით. მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის შესაბამისად. ზეპირი და წერითი გამოცდების შეფასება განხორციელდება 10 ბალიანი სისტემით. გამოცდები ჩატარდება საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული მისაღები გამოცდების პროგრამებით.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდებს და დაიცავენ სადიპლომო შრომას, სახელმწიფო-საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიეცემათ უმაღლესი განათლების დიპლომი, წარჩინებულთ — რეკომენდაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტების ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. სწავლის ხანგრძლივობა ხუთი წელია. სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. ინსტიტუტში ჩარიცხული აბიტურიენტები სწავლის ღირებულებას იხდიან ჩარიცხვიდან 10 დღის განმავლობაში.

მისაღები გამოცდების ორგანიზაციასთან დაკავშირებით აბიტურიენტებმა უნდა გადაიხადონ 3000 კუპონი. აღნიშნული თანხა ჩაჭრილ ან გამოცდაზე გამოუცხადებელ აბიტურიენტს არ დაუბრუნდებათ.

აბიტურიენტებსა და მათ მშობლებთან შეხვედრის მიზნით ინსტიტუტი აწყობს ღია კარის დღეს 31 ივლისს 13-00 საათზე ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

ინსტიტუტის მისამართია: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ა, 101-ე საშ. სკოლა.
საკონტ. ტელეფონები: 39-59-64; 95-09-61; 95-09-45; 39-54-17; 95-09-77.

მიმღები კომისია

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ახალი წიგნი

პოეტის საიუბილეოდ

გამომცემლობა „მოლოდინმა" მკითხველ საზოგადოებრიობას მიაწოდა ვაჟა ეგრისელის ერთტომეული, რომელშიც პოეტის ორი ათასამდე ლექსია დაბეჭდილი (რედაქტორი — შოთა ნიშნიანიძე, მხატვრები: დინარა ნოდია, თენგიზ სამსონაძე, ტირაჟი 50.000).

წიგნის ანოტაციაში ნათქვამია: გამომცემლობა „მოლოდინს" ვაჟა ეგრისელის (დოლბაიას) 50 წლის საიუბილეოდ განზრახული ჰქონდა პოეტის ლექსებისა და პოემების სამტომეულის გამოცემა, მაგრამ ბოლო ხანებში მკაფიოდ გამოვლენილი მისი პოეტური ინდივიდუალობის შესაცნობად ამჟამად გთავაზობთ მხოლოდ ნოვატორული ხასიათის ლექსების ერთტომეულს, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით პოეტის შემოქმედებითი ძიების სრულიად ახალ, საინტერესო ეტაპზე.

□

გაძარცვული „იმერეთის ბარაქა"

რიკოთის უღელტეხილზე გამავალი საავტომობილო ცენტრალური ავტომაგისტრალი უნიკალურია თავისი სირთულითა და ბუნების სილამაზით. იგი ხომ სასიცოცხლო არტერიაა ჩვენი რესპუბლიკისა...

მაგრამ ბოროტთა ზრახვებს ვერ შველის კეთილი საქმეები, რომელიც უღელტეხილის კეთილმოწყობისათვის გაკეთდა: გაფართოვდა გზა, ხიდები, მოსაცდელები, ნიაღვარსადენები, თანამედროვე საგზაო ნიშნები...

ამას წინათ ზესტაფონის № 25 საგზაო უბნის უფროსი ლერი ზიბზიბაძე აღშფოთებით გვიამბობდა იმ უმსგავსოებაზე, რაც ხდება რიკოთის უღელტეხილზე:

— სოფელ ვერტყვიჭალაში, უბნის საყრდენ პუნქტში, სადაც საგზაო მექანიზმები და ავტომანქანებია თავმოყრილი, დაუდგენელმა პირებმა იარაღის მუქარით დარაჯი დააშინეს, კომბინირებულ ავტოსაგზაო მანქანებს აკუმულატორები, სასიგნალო მოციმციმე აპარატურა და სათადარიგო ნაწილები ახსნეს და გაიტაცეს.

სოფელ ხევში საყრდენი პუნქტიდან ბულდოზერებისა და გრეიდერების მოტორებიდან საცხებსაპოხი ნივთიერება გამოწურეს, გაიტაცეს სათადარიგო ნაწილები და საწვავი.

ახლახან შეიარაღებული ბანდა შორაპანში თავს დაესხა ავტოფარეხსაც...

მთელი წელი ხდებოდა ქურდობა ასფალტის ქარხანაში, სახელოსნოებში, საყრდენ პუნქტებში, საიდანაც ყველაფერი გააქვთ: სპილენძი, ალუმინი, საგზაო აპარატურა, მექანიზმები, საგზაო ნიშნები, სამაგრი ბოძები, ეს რომ არ იკმარეს, ახლა ხიდების მოაჯირებსაც მიადგნენ.

კიდევ უარესი, მთლიანად შემოხსნეს სპილენძის საბურველი ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონების საზღვართან დადგმულ მოქანდაკე გიორგი ქლიბაძის მხატვრულ კომპოზიციას „იმერეთის ბარაქას", რომელიც მგზავრთა ყურადღებას იქცევდა თავისი ორიგინალობითა და შინაარსით.

თავის გულს ასკდება საგზაო უბნის უფროსი — როდემდე უნდა აარიდონ თვალი ამ უმსგავსოებას შესაბამისმა ორგანოებმა?!

ჰენრი მარიქაძე.

□

ჟურნალისტის გახსენება

ამ დღეებში საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და რესპუბლიკის ჟურნალისტურმა საზოგადოებრიობამ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენა საქართველოში, ჩვენს პროფესიაზე უანგაროდ შეყვარებული კაცი, კოლეგა, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" ყოფილი რედაქტორი პავლე ასლანიდი.

მართლაც, ძალზე კოლორიტული და სათნო პიროვნება იყო ჩვენი საქმის შესანიშნავი მოამაგე, ბატონი პავლე. ამიტომაც იყო, რომ მის პიროვნებას, პროფესიულ ალღოსა და თავდადებას ბევრი დამფასებელი ჰყავდა.

ჩვენი საზოგადოებრიობის დამოკიდებულებაზე პავლე ასლანიდის, როგორც ჟურნალისტისა და მოღვაწისადმი ისაუბრეს იმ დღეს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ, ჟურნალისტებმა დავით მჭედლიშვილმა, ვანო ცეცხლაძემ, ილია რურუამ, ეთერ ჯაფარიძემ, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციის თანამშრომლებმა.

ბევრი გულთბილი, ამაღელვებელი სიტყვა ითქვა იმ დღეს ბატონ პავლე ასლანიდის პიროვნებაზე, მის ღვაწლსა და დამსახურებაზე, იმ გულთბილ დამოკიდებულებაზე, რომელსაც მისი ხსოვნის მიმართ იჩენენ მისი აღზრდილები და თანამშრომლები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

შეხვედრაზე მოსულ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გულთბილი მადლობა გადაუხადეს პავლე ასლანიდის ოჯახის წევრებმა, კოლეგებმა.

მარინე სულხანიშვილი.

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია
ასრულებს უმოკლეს დროში გადარიცხვებს რუსეთიდან საქართველოში, თქვენთვის საინტერესო წახალისებით.
ვისაც გაქვთ თანხა გადმოსარიცხი, მოგვმართეთ!
საკონტაქტო ტელეფონებია:
ქ. თბილისში 36-27-74 (10-დან 16 სთ-მდე);
ქ. მოსკოვში (095) 378-79-78.

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ, ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ

Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от Москвы) в новом доме.

Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებზე პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29. ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА